ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირება

ფინანსები და საბანკო საქმე

ნინო ცომაია

ფინანსური შუამავლების, ბანკების, ფასიანი ქაღალდების როლი საბიუჯეტო შემოსავლების სრულყოფაში

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი - მ. ჩიკვილაძე

თბილისი

2020

ანოტაცია

საბიუჯეტო შემოსავლების სრულყოფა ქვეყნის საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხია. ნაშრომში მთელ რიგ პრობლემატურ საკითხებთან ერთად განხილულია, ბანკების, ფასიანი ქაღალდების და სხვა ფინანსური შუამავლების როლი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფაში, დახასიათებულია თითოეული ფინანსური შუამავლის ფუნქციონირების შედეგები და გაანალიზებულია მათ საქმიანობაში შექმნილი პრობლემების დაძლევის გზები.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი დათმობილია ფინანსური სისტემის ფუნქციონირების ამჟამინდელ მდგომარეობაზე, ფინანსური სისტემა მოიცავს ფინანსურ ბაზრებს, ფინანსურ შუამავლებს, ფირმებს, რომლებიც დაკავებულნი არიან ფინანსური მომსახურებით და სხვა ინსტიტუტებს, რომელთა მეშვეობით შინამეურნეობები, კერძო კომპანიები, სამთავრობო ორგანიზაციები ახდენენ მათ მიერ მიღებული ფინანსური გადაწყვეტილებების რეალიზაციას.

ნაშრომის მიზანია საბიუჯეტო პროცესების ფორმირებასა და ჩამოყალიბებაზე შეიქმნას გარკვეული წარმოდგენა, ნაშრომი მოიცავს ინფორმაციას საბიუჯეტო კოდექსზეც, რომლის აღსრულება ძალიან მნიშვნელოვანია.

ნაშრომის ამოცანაა წარმოდგენილ იქნას ანალიზი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ფინანსური შუამავლების როლი საბიუჯეტო შემოსავლების სრულყოფაში. ჩემს მიერ ჩატარებულია კვლევა, მოქალაქეების აზრის შესახებ, თუ რამდენად ინფორმირებულები არიან და როგორი დამოკიდებულება აქვთ მიმდინარე საბიუჯეტო პროცესებზე, წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომელიც თვალნათლივ მეტყველებს, რომ ამ მხრივ ჯერ ბევრია გასაკეთებელი. ჩემს მიერ წარმოდგენილ კვლევის მასალებზე მაქვს სათანადო წინადადებები, რომელთა დახვეწას ვფიქრობ, თემის კვლევის შემდგომი გაგრძელების შედეგებზე დაყრდნობით.

Annotation

Role of financial intermediaries, banks, securities in enhancement of budget revenue

Nino Tsomaia

Improving budget revenues is an important issue in the country's fiscal and tax policy. The paper discusses the role of banks, securities and other financial intermediaries in ensuring the effective functioning of a number of problematic issues, characterizes the functioning of each financial intermediary and analyzes the ways to overcome the problems created in their activities.

An important part of the paper is devoted to the current state of the financial system, the financial system includes financial markets, financial intermediaries, firms engaged in financial services and other institutions through which households, private companies, government agencies implement their financial decisions.

The aim of the paper is to create some idea about the formation and formation of budget processes, the paper also includes information on the Budget Code, the execution of which is very important.

The aim of the paper is to present an analysis of the importance of the role of financial intermediaries in improving budget revenues. I have conducted a survey on the opinion of citizens, how much they are informed and how they relate to the current budget processes, the results of the survey are presented, which clearly shows that there is still a lot to be done in this regard. I have relevant suggestions for the research materials I have submitted, which I think will be refined based on the results of further research on the topic.

შინაარსი

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია (ინგლისურ ენაზე)

თავი პირველი - ფინანსური შუამავლები, ბანკები, სხვადასხვა სადეპოზიტო-საშემნახველო დაწესებულებები, ფასიანი ქაღალდები

1.1 - ფინანსური შუამავლები

1.2 – სპეციალიზებული ფინანსური შუამავლები და მსოფლიო ორგანიზაციები

1.3 - ბანკები, საინვესტიციო ბანკები, ცენტრალური ბანკები

1.4 - ფასიანი ქაღალდები და საქართველოში ფასიანი ქაღალდების ფუნქციონირება

თავი მეორე - საქართველოს საფინანსო და საკრედიტო პოლიტიკა

2. 1 – საბიუჯეტო შემოსულობები

2.2- პირდაპირი გადასახადები

2. 3- არაპირდაპირი გადასახადები

2. 4 - საბიუჯეტო პროცესი და საბიუჯეტო პრინციპები

თავი მესამე - სადაზღვეო კომპანიები, საპენსიო ფონდები, ჩატარებული კვლევის მასალების ანალიზი

3.1 - სადაზღვეო კომპანიები

3.2 -საპენსიო ფონდები

3.3- ჩატარებული კვლევის მასალების ანალიზი

დასკვნა და რეკომენდაციები

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

დანართები

შესავალი

თემის აქტუალობა გამოწვეულია იმით, რომ პანდემიის შედეგად მნიშვნელოვანი დარტყმა მიიღო ბიუჯეტმა, სხვადასხვა სუბსიდირებისა და შეღავათების დაწესების გამო შეიცვალა შემოსულობათა მაჩვენებელი და გაიზარდა გადასახდელების რიცხვი.

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილია ბიუჯეტის როლსა და მნიშვნელობაზე. ბიუჯეტი უნდა გამომდინარეობდეს მოსახლეობის ინტერესებიდან, ამიტომ ქვეყნის დემოკრატიულობასა და გახსნილობაზე მსჯელობისას, უნდა დავეყრდნოთ საბიუჯეტო პროცესებისა და ეტაპების დინამიკას.

ბიუჯეტს მრავალი ფუნქცია გააჩნია, ის წარმოადგენს ფინანსურ გეგმას თუ როგორ უნდა იყოს დაძლეული ყველა ვალდებულება, როგორ უნდა დაიხარჯოს თანხები, რა დაფინანსდეს, რომელ სფეროებზე მოხდეს მისი პრიორიტეტული განაწილება და რა თანაფარდობით.

აღსაღნიშნავია ბიუჯეტის გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე. ზოგიერთმა მიმდინარე ხარჯმა, შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს მოქალაქეების შემოსავლების ზრდა. მისი სწორად დაგეგმვა, განკარგვა და ორგანიზება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც მასზე უამრავი ადამიანის მომავალია დამოკიდებული.

ბიუჯეტი, როგორც ფინანსური დოკუმენტი არის ინფორმატიული, რადგანაც ის მოიცავს ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა გასულ წლებში გახარჯული და მოზიდული თანხების დინამიკა, რაც თავისთავად იძლევა პროგნოზირების საშუალებას.

ეკონომიკაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საფინანსო სექტორს, რადგანაც მას აქვს ისეთი მნიშვნელოვანი როლი, როგორიცაა შუამავალი კრედიტორსა და მსესხებელს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსურ

შუამავლებს განსაკუთრებული როლი აქვთ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაში.

საბიუჯეტო შემოსულობანი რამდენიმე ნაწილისგან შედგება. ნაშრომი კი ორიენტირებულია ცხადყოს ფინანსური შუამავლების მნიშვნელობა და მათი როლი საბიუჯეტო შემოსავლების სრულყოფაში, ამისათვის კი საჭიროა განხილულ იქნეს თითოეული მათგანის სამუშაო სპეციფიკა და დამახასიათებელი თვისებები.

ბიუჯეტი პანდემიის პირობებში განსაკუთრებით სპეციფიურია, რადგან მსოფლიოში გავრცელებულმა ვირუსმა შეცვალა არამხოლოდ დღის წესრიგი, არამედ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას, საჭირო გახდა ბიუჯეტში გარკვეული ცვლილებების შეტანა, ნაშრომში ამ საკითხზეც იქნება ყურადღება გამახვილებული.

კვლევაში ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქეების აზრი საბიუჯეტო პროცესებთან დაკავშირებით.

ნაშრომის საგანია ფინანსური შუამავლების დახასიათება, მიმდინარე და გასული წლების საბიუჯეტო პროცესების განხილვა.

ნაშრომის მიზანია მიაწოდოს მკითხველს ინფორმაცია, როგორ მუშაობენ ფინანსური შუამავლები, დაანახოს თითოეული მათგანის მნიშვნელობა და არსი, ასევე გაანალიზოს სხვადასხვა წლებში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილები და დაანახოს დაინტერესებულ საზოგადოებას ცვლილებით მიღებული შედეგები.

თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი წარმოადგენს, როგორც ეკონომიკური მეცნიერებების ფუნდამენტური გამოკვლევები, სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებული დოკუმენტები და ასევე საინფორმაციო ბაზა.

ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს იმ ადამიანებისთვის, ვისაც სურს მეტი იცოდეს საბიუჯეტო პროცესებსა და ფინანსურ შუამავლებზე, როგორ მუშაობს თითოეული მათგანი და რა გავლენა აქვთ ეკონომიკაზე.

ნაშრომი შედგება სამი თავისა და 11 ქვეთავისაგან, ნაშრომს ასევე თან ერთვის დასკვნა, რეკომენდაცია და გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა და დანართი.

თავი პირველი - ფინანსური შუამავლები, ბანკები, სხვადასხვა სადეპოზიტო-საშემნახველო დაწესებულებები, ფასიანი ქაღალდები

1.1 - ფინანსური შუამავლები

ზოგიერთი კომპანია დაკავებულია ფინანსური მომსახურებითა და ფინანსური პროდუქტების შეძენის შეთავაზებით, ასეთ კომპანიაებს უწოდებენ ფინანსურ შუამავლებს.

ეკონომიკაში არსებობს ფინანსური ნაკადების გადადინების ორი გზა. ესენია: პირდაპირი და არაპირდაპირი გზები. ფულადი ნაკადი გადაედინება დანაზოგის მფლობელისგან რეალური აქტივის მყიდველისკენ. როდესაც გადადინება ხდება ფინანსური შუამავლების მეშვეობით, ამბობენ, რომ ასეთ მოდელს ეწოდება არაპირდაპირი გზა.

ფინანსურ შუამავლებს წარმოადგენენ კომპანიები, რომელთა ფუნქცია არის კლიენტების ფინანსური პროდუქტებით იმაზე მეტად ეფექტურად უზრუნველყოფა, ვიდრე ამას შეძლებდნენ ისინი უშუალოდ ფინანსურ ბაზრებზე, ოპერაციების წარმოებით.

ფინანსურ შუამავლებში მოიაზრებ: საინვესტიციო და სადაზღვეო კომპანიები, სასესხო ფონდები, ბანკები, ფინანსური ბროკერები,იპოთეკური ბანკები, დილერები. ფინანსურ პროდუქტს შესაძლოა მივაკუთვნოთ მაგ: საჩეკო ანგარიშები, კრედიტები, იპოთეკები, სხვადასხვაგვარი სადაზღვეო კონტრაქტები.

არსებობს ასევე ფონდები, რომელთაც ქმნიან ინვესტორები და ასეთი ფონდები კაპიტალს აბანდებენ ფასიან ქაღალდებში, ეს ფონდიც წარმოადგენს ერთ-ერთ ფინანსურ შუამავალს. მათი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გაუწიონ ეკონომია ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისას. ასევე მათ შეუძლიათ ყიდვა-გაყიდვის ეფექტური მეთოდებისა და გზების შეთავაზება, კლიენტებისათვის.

ფინანსურ შუამავლებს დიდი როლი უჭირავთ ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებაში, ასევე მათ დიდი როლი აქვთ კორპორაციული ურთიერთობებში.

კორპორაციათა დაფინანსება განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.

განვითარებულ ქვეყნებში კორპორაციები ფინანსური მოთხოვნების შესავსებად დაფინანსებისთვის მიმართავენ ფინანსურ შუამავლებს. ზოგიერთ ქვეყანაში ფინანსური შუამავლების როლი დომინირებს, ფასიანი ქაღალდების ბაზართან შედარებით.

ფინანსურ შუამავალებს გააჩნიათ რიგი უპირატესობები: მორალური რისკის პრობლემა, მცდარი არჩევანი და ასევე არაკეთილსინდისიერი ქცევა, ტრანსაქციური დანახარჯები.

ტრანსაქციური დანახარჯი ეს არის ის დრო და ფული, რომელიც იხარჯება ფინანსური გარიგების დადებამდე. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა მათთვის, ვისაც სურს გარიგებაში მონაწილეობა.ფინანსურ შუამავლებს აქვთ რიგი ბერკეტები, რითაც შეუძლიათ მინიმუმამდე დაიყვანონ ასიმეტრიული დანახარჯები. ასევე მათ აქვთ გამოცდილება მსგავსი დანახარჯების შემცირებაში. ტრანსაქციული დანახარჯების მოცულობა, გარკვეულწილად ხსნის იმ მდგომარეობას, რომელშიც უპირატესობა ენიჭებათ ფინანსურ შუამავლებს.

მცდარი არჩევანი არის შემთხვევა, როდესაც ფინანსურ ბაზარზე არასაიმედო მსესხებლები აქტიურად ეძებენ დაფინანსებას. მათი შერჩევის ალბათობა გამომდინარე აქტიური ძიებიდან იზრდება. რადგან ისინი არასაიმედო მსესხბელები არიან, შესაძლოა გამსესხებელმა გადაიფიქროს სესხის გაცემა.

ფინანსურ ბაზარს ფუნქციონირებაში ძალიან უშლის ხელს ორი რამ: მცდარი არჩევანი და არაკეთილსინდისიერი ქცევა. ხოლო რაც შეეხება მათ თავიდან აცილებას, ეს ფინანსური შუამავლების პრეროგატივას წარმოადგენს.

მორალური რისკი თავს იჩენს გარიგების დადების შემდეგ, როდესაც შესაძლებელია თანხები დაიხარჯოს არასასურველ საქმიანობაში და ამასთან ეჭქვეშ დადგეს მსესხებლის რეპუტაცია.

ფინანსური ბროკერები - ესენი არიან გარკვეული ფინანსური დაწესებულებები, რომლებიც ასრულებენ საბროკერო ფუნქციებს, კერძოდ ისინი

აკავშირებენ ერთმანეთს ორ დაინტერესებულ მხარეს, პირველი მხარე არის ის, რომელსაც სჭირდება ფინანსური სახსრები, ხოლო მეორე მხარე არის ის, რომელსაც აქვს გარკვეული დანაზოგი და შეუძლია გარკვეული სარგებლის სანაცვლოდ სარგებლობაში გადასცეს სხვა მხარეს. ფინანსური ბროკერები ამ შემთხვევაში არიან მხოლოდ შუამავლების როლში.

ასევე არსებობენ ფინანსური კომპანიები, რომლებიც სამომხმარებლო სესხებს, კონკრეტულ გადახდის გრაფიკთან და უზრუნველყოფასთან ერთად სთავაზობენ მომხმარებლებს. ისინი იზიდავენ კაპიტალს არა მხოლოდ ფულის სესხების გზით, ასევე აქციების გამოშვებით. ხოლო ბანკიდან სესხის აღების შემდეგ ასეთი კომპანიები თავად ახდენენ თანხის გასესხებას.

როცა ფინანსური შუამავლებზეა საუბარი, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ, დეფოლტის რისკზე. ეს არის ისეთი რისკი, როდესაც მსესხებელმა შესაძლებელია არ გადაიხადოს ძირი თანხა ან პროცენტი. დეფოლტი ეს არის ფინანსური კონტრაქტის პირობის შეუსრულებლობა. როდესაც ხდება კაპიტალის დაბანდება ფასიან ქაღალდებში, ისეთ ქაღალდში, რომელიც რისკის შემცველია ინვესტორები ამ დროს მოითხოვენ თავიანთთვის რისკზე დამატებით პრემიას. პრემიის ოდენობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამხელაა დეფოლტის რისკი.

1.2 – სპეციალიზებული ფინანსური შუამავლები და მსოფლიო ორგანიზაციები

არსებობენ კომპანიები, რომელთა საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სპეციფიკური სახის, ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება, ასეთ კომპანიებს უწოდებენ სპეციალიზებულ ფინანსურ შუამავლებს. ისინი მომხმარებლებს უზრუნველყოფენ სავალო ინსტრუმენტებით და აადვილებენ დაფინანსების პროცესებს. ასეთი შეიძლება იყოს სახელმწიფო სააგენტო, რომელიც გასცემს სესხს ან იძლევა სასესხო გარანტიას სტუდენტებისათვის, ასევე მცირე საწარმოებისათვის და ახალი სახლების შესასყიდად.

ასევე არსებობს მეორე კლასიც, სახელმწიფო სააგენტოებისა, რომლებიც აზღვევენ საბანკო შენატანებს. მათი ფუნქციაა ფინანსური სისტემის ან რაიმე ნაწილის დაცვის გზით, ეკონომიკური კრიზისის თავიდან აცილება.

არსებობს მძიმე სცენარიც, რომელსაც უწოდებენ „საბანკო პანიკა“-ს. მეანაბრეებს სჭირდებათ, რომ დარწმუნებულნი იყვნენ ანაბრების საიმედოდ დაცულობასა და იმაში რომ, მის გატანას შეძლებენ ნებისმიერ დროს. იმ შემთხვევაში თუ მეანაბრეებს ეჭვი შეეპარებათ დაცულობაში, ისინი წავლენ ბანკში, ანაბრების გამოსატანად და ამ დროს დაიწყება „საბანკო პანიკა“. შესაძლოა კონკრეტულ ბანკს არ ჰქონდეს იმის რესურსი რომ დააკმაყოფილოს ყველა მეანაბრე, შედეგად „საბანკო პანიკა“ გადადის სხვა ბანკზე. თუ პროცესი გრძელდება ისე, რომ ხდება ნაღდი ფულის მასიური გატანა, ეს საშიში ხდება ფინანსური სისტემისთვისაც.

დღესდღეობით არსებობს რამდენიმე, ისეთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთა ძირითადი კომპეტენციაა, სხვადასხვა ქვეყნებში, საფინანსო პოლიტიკის კოორდინირება. ამ ორგანიზაციებს შორის, ყველაზე

მნიშვნელოვანია „საერთაშორისო ანგარიშსწორებათა ბანკი“ (BIS). ის მდებარეობს შვეიცარიაში და მის ამოცანას წარმოადგენს, მსოფლიოში არსებული საბანკო წესების ერთგვაროვნებაზე ზრუნვა.

რაც შეეხება საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებს, აქ ფუნქციონირებს ორი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სავაჭრო და ფინანსური საქმიანობის სტიმულირება. ეს ორგანიზაციებია: საერთაშორისო სავალუტო ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი ანუ მსოფლიო ბანკი. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ანუ საერთაშორისო მონეტარული ფონდი აკვირდება მის წევრ ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის პირობებს, ასევე საჭიროებისას უწევს ტექნიკურ დახმარებას და სხვადასხვა სახის კომუნიკაციებს.

მსოფლიო ბანკის მიერ ხდება სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების დაფინანსება. ამისათვის საჭიროა პროექტი აკმაყოფილებდეს მათ მოთხოვნებს. რაც მთავარია, მიმართული იყოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის.

1.3 - ბანკები, საინვესტიციო ბანკები, ცენტრალური ბანკები

ბანკები დიდ როლს თამაშობენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და ფინანსური ბაზრების ფუნქციონირების პროცესში. ამას თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს. ბანკი გამოდის ფინანსური შუამავლის როლში, იმ მოცემულობაში, როცა არსებობს ფულადი სახსრების მქონი პირი და ისეთი პირი, რომელსაც ეს სახსრები სჭირდება. ამით ისინი ახდენენ ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს დაფინანსებას.

დღევანდელ რეალობაში ბანკები წარმოადგენენ ყველაზე მსხვილ ფინანსურ შუამავლებს. მათი საქმიანობა ხელს უწყობს ვაჭრობის განვითარებას. ბანკების ძირითადი ნაწილი ხშირ შემთხვევაში ასრულებს ორ ფუნქციას, ანაბრის აღება და სესხის გაცემა. მსგავსი ტიპის ბანკებს უწოდებენ კომერციულ ბანკებს.

არსებობს ასევე უნივერსალური ბანკებიც, რომლებიც ასრულებენ ფინანსური შუამავლისთვის დამახასიათებელ ყველა ფუნქციას. ასევე ისინი ითავსებენ სადაზღვეო ფუნქციებსაც.

ბანკები ახორციელებენ საანგარიშსწორებო მომსახურებას, არიან საგადამხდელო სისტემის მთავარი მონაწილეები, ამით მოაქვთ დიდი სარგებელი ქვეყნის ეკონომიკისათვის.

გამომდინარე იქედან, რომ ბანკები არიან ფინანსური შუამავლები, შედარებით სხვა არასაფინანსო კომპანიებთან შედარებით, ხასიათდებიან საკუთარი კაპიტალის დაბალი დონით. ბანკის დაფინანსება ხდება უმეტესად დეპოზიტების ხარჯზე, ამიტომ ბანკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დეპოზიტორთან კარგი ურთიერთობა.

საინვესტიციო ბანკი არის ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ანდერაიტერის მსგავსად, იძლევა ფასიანი ქაღალდების განთავსების გარანტიას. ისინი წარმოადგენენ ფინანსურ შუამავლებს, რომლებიც ვაჭრობენ კორპორაციული აქციებითა და ობლიგაციებით. როცა კომპანიას სჭირდება ფინანსური სახსრების მოზიდვა, ამ დროს საინვესტიციო ბანკი ბითუმად ყიდულობს მისგან მთლიან აქციებს და შემდეგ ყიდის მას საცალოდ. საინვესტიციო ბანკს აქვს უნარი გაყიდოს აქცია უფრო ძვირად ვიდრე ამას

შეძლებს კომპანია - ემიტენტი. ამ მომსახურებისთვის საინვესტიციო ბანკები იღებენ საკომისიოს.

ასევე არსებებობენ იპოთეკური ბანკები, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსურ ინსტიტუტს. ისინი ახდენენ საგირავნოს გამოშვების ინიცირებას, ყიდულობენ შემდეგი გადაყიდვისთვის. ისინი ეძებენ ინვესტორებს საგირავნოებისთვის. ისინი დიდხანს არ ფლობენ საკუთარ პორტფელში საგირავნოს. მათი ძირითადი ფუნქციაა ვალდებულების გადაუხდელობასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება, სწორედ ეს შეადგენს მათი მომსახურების თანხას.

კომერციული ბანკები ემსახურებიან მეანაბრეებსა და მსესხებლებს. თავიანთი რესურსების ფორმირებას ისინი ძირითადად ახდენენ საჩეკო დეპოზიტური, შემნახველ დეპოზიტური და ვადიანი დეპოზიტური ანგარიშების გახსნას. იზიდავენ სახსრებს და იყენებენ კრედიტების დასაფინასნებლად.

საინვესტიციო ბანკი, წარმოადგენს ისეთ ფინანსურ ინსტიტუტს, რომელიც უზრუნველყოფს შემდგომი გადაყიდვისთვის, ფასიანი ქაღალდების განთავსებას.

როდესაც კომპანია უშვებს ფასიან ქაღალდს, ხშირ შემთხვევაში, ის მიმართავს საინვესტიციო ბანკს. საინვესტიციო ბანკი ახდენს ორი მხარის ერთმანეთთან დაკავშირებას, ითავსებს შუამავლის ფუნქციას, ეხმარება მათ ვისაც აქვს დანაზოგი და ვისაც სჭირდება ფული, ერთმანეთთან დაკავშირებაში. ბითუმად შესყიდვასა და საცალო გაყიდვას შორის, არსებული სხვაობა წარმოადგენს, საინვესტიციო ბანკის შემოსავალს, ამ შემთხვევაში.

საინვესტიციო ბანკის დადებითი მხარე არის ის რომ, მას აქვს გამოცდილება და ასევე სხვადასხვა კონტაქტები, იმისათვის რომ განათავსოს ფასიანი ქაღალდები. მისი დანახარჯი კი, ამ შემთხვევაში არის სხვა შუამავალზე ნაკლები.

საინვესტიციო ბანკები მუდმივად არიან დაკავებულნი ფასიანი ქაღალდების შესყიდვით. ამ პროცესშიც მათ აქვთ იმაზე ნაკლები დანახარჯი, ვიდრე სხვა კომპანიებს.

მთავრობისთვის, კერძო კომპანიებისთვის და სხვა ორგანიზაციებისთვის, ფინანსური სახსრების მოზიდვის ხელშეწყობა საქმიანობის დასაფინანსებლად წარმოადგენს, საინვესტიციო ბანკის ფუნქციას. საინვესტიციო ბანკი ახდენს ფასიანი ქაღალდების გამოშვების ორგანიზებას. ისინი ხშირად ეხმარებიან კომპანიებს და ახდენენ ინიცირებას, სხვადასხვა კომპანიების შერწყმისა და შთანთქმისას. ისინი ძირითადად ახორციელებენ ანდერაითინგს. ანდერაითინგი ეს არის, მოკლე განმარტებით - დაზღვევა ემიტენტისთვის.

ანდერაიტინგი შესაძლოა განიმარტოს, როგორც ფასიანი ქაღალდების გარანტირებული განთავსება. საკუთარ თავზე ემიტენტის რისკის აღება არის ანდერაიტინგი. ხდება ფასიანი ქაღალდების შესყიდვა და მიზანია მათი გადაყიდვა.

საინვესტიციო ბანკი თავის თავზე იღებს იმ ფასიანი ქაღალდების განთავსებას, რომელსაც უშვებს ემიტენტი. თუ მოხდება ისე რომ, ინვესტორი არ შეიძენს ფასიან ქაღალდს, მაშინ წინასწარ განსაზღვრულ ფასად იყიდ მას საინვესტიციო ბანკი.

საინვესტიციო ბანკი იყენებს „უდიდესი ძალისხმევის პრინციპ“-ს, რაც ნიშნავს, იმას რომ ბანკი ყველა ღონეს ხმარობს, რომ გაყიდოს ემიტენტის ფასიანი ქაღალდი.

ცენტრალური ბანკი წარმოადგენს ისეთ ფინანსურ შუამავალს, რომლის ძირითადი ფუნქციაა, მხარი დაუჭიროს სახელმწიფო სწორ პოლიტიკას. არსებობს ქვეყნები, სადაც ცენტრალური ბანკი იმყოფება სახელმწიფო ხელისუფლების უშუალო კონტროლის ქვეშ.

ცენტრალური ბანკის დასახელების ამოცნობა არც თუ ისე ძნელია, მაგალითად საქართველოში ეს არის „საქართველოს ეროვნული ბანკი“, თუმცაღა ყველა ქვეყანაში მსგავსად არ ხდება.

ქვეყნის საგადამხდელო ორგანოს უმნიშვნელოვანეს ნაწილად შესაძლოა აღვიქვათ ცენტრალური ბანკი. ის მართავს ბანკთა შორის ანგარიშსწორების სისტემას და ქვეყანას უზრუნველყოფს ეროვნული ვალუტით. იმისათვის რომ საგადამხდელო სისტემა იყოს ეფექტური, მნიშვნელოვანია ინფლაციის ზომიერი დონე, სწორედ ეს არის, ცენტრალური ბანკის ძირითადი ამოცანა. ზოგიერთ ქვეყანაში აქვთ მოლოდინები, რომ ცენტრალურმა ბანკმა უნდა განახორციელოს ისეთი ქმედებები, რომელთა მეშვეობით გადაიჭრება ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა: ეკონომიკური ზრდის საჭირო ტემპების უზრუნველყოფა, დასაქმება და სხვა. ფასების სტაბილურობასა და დასაქმებაზე ზრუნვა ხდება ამ დროს ბანკის ამოცანა.

თანამედროვე საქართველოს ეროვნული ბანკი შეიქმნა 1991 წელს, საბჭოთა კავშირის (სსრკ) დაშლის შემდეგ, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საკრედიტო სისტემის შემადგენელი ყველა სტრუქტურა, მათ შორის სახელმწი ფობანკი, რომლის ბაზაზეც დაფუძნდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულიბანკი. თუმცა პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში 1919-1921 წლებში ფუნქციონირებდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ ბანკს და მისი სტატუსი ქვეყნის კონსტიტუციით არის განსაზღვრული. მისი საქმიანობის უმთავრესი მიზანი ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა. პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში 1919 წელს შეიქმნა. დღევანდელი სახით ბანკი 1991 წლიდან არსებობს.

საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აქვთ უფლება ჩაერიონ მის საქმიანობაში. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონით, საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკის უფლება-მოვალეობები, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით.

საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. იგი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით.

სადეპოზიტო დაწესებულება არის ფინანსური შუამავალი, რომელიც იღებს ანაბარს ფიზიკური პირისა და კომპანიისგან და მიღებული თანხით გასცემს კრედიტს. მათი როლი ფინანსური ბაზრის ფუნქციონირებაში მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ახდენენ დეპოზიტების შექმნას. მათ მიეკუთვნება, როგორც კომერციული ბანკები, ასევე შემანახველი დაწესებულებები, როგორიცაა სასესხო-შემნახველი ასოციაციები, ურთიერთშემნახველი ბანკები და საკრედიტო კავშირები.

სასესხო-შემნახველი ორგანიზაცია ემსახურება კერძო პირებს, რომლებიც არიან რეზიდენტები და მათგან მიღებულ ანაბარს გასცემს სესხად მსესხებლებზე. მათ აქვთ დიდი გამოცდილება სესხების გაცემაში. სესხებს გასცემენ უძრავიქონების გირავნობით. უძრავი ქონება მათ აძლევთ მყარი შემოსავლის გარანტიას. ისინი სიდიდით ფინანსური შუამავლების მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან.

ურთიერთშემნახველი ბანკი დიდად გავს სასესხო-შემნახველ ორგანიზაციას, ისინი დანაზოგების მიღებით ავსებენ თავიანთ რესურსებს, ხოლოდ მოზიდულ თანხებს გასცემენ კრედიტის სახით, უძრავი ქონების გარანტიით. ურთიერთშემნახველი ბანკების მფლობელები არიან მეანაბრეები.

საკრედიტო კავშირები - ისინი ორგანიზებული მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფის მიერ, არც ისე დიდია მათი მასშტაბი. ისინი შეიძლება შეიქმნას პროფკავშირების, სახელმწიფო მოსამსხურეებიის ან რომელიმე სხვა ჯგუფის მიერ. მათი რესურსები ფორმირდება საპაიო შენატანებით და შემდეგ გასცემენ კრედიტებს. ისინი ძირითადად ემსახურებიან დაბალშემოსავლიან მომსახურებას.

საკონტრაქტო შემნახველი დაწესებულებები ახდენენ თავიანთი ფინანსური რესურსების მობილიზებას კონტრაქტების მეშვეობით. მათ მკაცრად აქვთ განსაზღვრული შემდეგი წლის გასაცემი თანხები და ამიტომ სახსრების დაკარგვის საშიშროება ნაკლებად უდგათ. თავიანთი სახსრების ინვესტირებას ახდენენ ფასიან ქაღალდებში, აქციებსა და ობლიგაციებში.

ფირმები ზოგჯერ კაპიტალს სარისკო ანუ ვენჩურულ კომპანიებში აბანდებენ, განსხვავება ასეთ კომპანიებსა და საინვესტიციო ბანკებს შორის არის ის რომ ისინი არა კორპორაციებს, არამედ ახლადშექმნილ კომპანიებს ემსახურებიან. გარდა იმისა რომ ეხმარებიან ფინანსურად ასევე აძლევენ საჭირო რჩევებსაც ბიზნესის გასაფართოვებლად. ისინი ეხმარებიან ახალ კომპანიებს ბიზნესის გაფართოებაში და აქციების გამოშვება-გაყიდვაში.

1.4 - ფასიანი ქაღალდები და საქართველოში, ფასიანი ქაღალდების ფუნქციონირება

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებას უკავშირდება ფასიანი ქაღალდების წარმოშობა. ფასიანი ქაღალდი ეს არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საკუთრივ უფლებას ან სასესხო დამოკიდებულებას დოკუმენტის გამომშვებ პირსა და მის მფლობელს შორის. ფასიანი ქაღალდების თავისებურება ისაა რომ ისინი ცალკეულ სუბიექტებს შორის წარმოშობილი თავისებური საკრედიტო ურთიერთობის მატარებლები არიან.

პირდაპირი ინვესტიციის გარდა, არსებობს ორი ალტერნატიული გზა იმისათვის, რომ დაფინანდეს ბიზნესი ან მთლიანად ეკონომიკა. პირველი ეს არის საბანკო სესხი - რაც გულისხმობს, რომ ინვესტორს თანხა შეაქვს ბანკში დეპოზიტზე, ერიცხება გარკვეული სარგებელი (პროცენტი) და ბანკი შემდგომში ამ თანხას გასცემს კრედიტად. ხოლო მეორე გზა არის ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ამ შემთხვევაში ხდება ინვესტორისგან უშუალოდ ეკონომიკაში ფულადი რესურსების გადადინება, იმ ფასიანი ქაღალდების სანაცვლოდ, რომელთაც უშვებენ კომპანიები ან სხვადასხვა სუბიექტები.

ფასიან ქაღალდს უშვებს „სამეურნეო სუბიექტი“ და მას „ემიტენტი“ ეწოდება. ინვესტორი ანუ მყიდველი იძენს უფლებას რომ მიიღოს შემოსავალი მისი დაბანდებული თანხიდან. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ჩნდება „საკრედიტო ურთიერთობა“.

ფასიანი ქაღალდი შესაძლოა არსებობდეს, როგორც ქაღალდის ფორმით, ასევე ჩანაწერების სახით, რომელიც განთავსებულია საანგარიშსწორებო დოკუმენტში. ფასიანი ქაღალდებია:

1. ობლიგაციები;
2. თამასუქები;
3. აქციები;
4. ჩეკები;
5. დეპოზიტური სერთიფიკატები;
6. სახელმწიფო სასეხო ვალდებულებები;
7. ოფციონები, ფიუჩერსები და სხვა.

[1]კორპორაციები უშვებენ აქციებს, ეს მათი მნიშვნელოვანი ფუნქციაა. აქციის შეძენის შემდეგ, მფლობელი ხდება კორპორაციის ქონების ნაწილის მფლობელი, თანამფლობელი. აქციის მფლობელი იღებს დივიდენდს. თუ რა მოცულობის იქნება დივიდენდი, დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე: მოგებაზე, სადივიდენდო პოლიტიკაზე, მომხმარებლისა და დანაზოგის თანაფარდობაზე.

აქციები არსებობს ორი სახის: ჩვეულებრივი და პრივილეგირებული.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს შეუძლიათ აირჩიონ დირექტორები, ასევე აქვთ უფლება დაამტკიცონ სხვადასხვა დოკუმენტები. აქვთ უფლება დასვან კითხვები აქციონერთა კრებაზე. მათ ასევე აქვთ შეზღუდული პასუხისმგებლობა, კორპორაციის საქმიანობასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება პრივილეგირებული (პრეფერენციული) აქციების მფლობელებს, მათ აქვთ გარკვეული პრეფერენციები.ისინი იღებენ დივიდენდს. თუ ბიზნესი დაიშალა პირველად კმაყოფილდება კრედიტორების მოთხოვნები, შემდეგ პრივილეგირებული აქციების მფლობელების მოთხოვნები სულ ბოლოს კი ჩვეულებრივი აქციების მფლობელების მოთხოვნები კმაყოფილდება. მათ აქვთ ხმის უფლება.

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის სავალო ვალდებულებებს. ობლიგაციის მფლობელი განიხილება და წარმოადგენს, როგორც კომპანიის კრედიტორი. თუ [2]ბიზნესი დაიშლება, კრედიტორს ექნება რიგი უპირატესობები, აქციების მფლობელთან შედარებით.

კორპორაციები უშვებენ სხვადასხვა ტიპის ობლიგაციებს. ესენია: კორპორაციული თამასუქი, ობლიგაციები პირველადი საწინდრით, ობლიგაცია მეორადი ან საერთო საწინდრით, ობლიგაციები საწინდრის გარეშე, კორპორაციის ობლიგაციები სხვა ფასიანი ქაღალდების საწინდრით.

---

[1] ბახტაძე ლ., „ფინანსური ბაზარი“ 2004 წ.
[2] ბახტაძე ლ., „ფინანსური ბაზარი“ 2004 წ, თავი III, გვ. 50-51

არსებობს საგირავნო და გირავნობის გარეშე ობლიგაციები. საგირავნო ობლიგაციების უზრუნველყოფა ხდება კომპანიის ფასიანი ქაღალდებით ან აქტივებით.

აქციებთან შედარებით, ობლიგაციას შეუძლია დანაზოგების უფრო ხანგრძლივი დაცულობა და ეს კიდევ უფრო მეტ მიმზიდველობას სძენს მას.

[3] საქართველოს პარლამენტმა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი“ მიიღო 1998 წელს. ამ დროისთვის ფასიანი ქაღალდები გამიჯნული იყო საბანკო სფეროსგან. 1998-2000 წლებში ჩამოყალიბდა ფასიანი ქაღალდების ძირითადი ინფრასტრუქტურა, ამავე პერიოდს უკავშირდება საბროკერო კომპანიების შექმნა. 2000-2007 წლებში საქართველოში ნელ-ნელა ვითარდებოდა და იხვეწებოდა ფასიანი ქაღალდების ბაზარი. დღესდღეობით საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი მაინც განვითარების ეტაპზეა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლიდან 2018 წლის ივნისამდე მოცულობა 56 მლნ ლარიდან 414 მლნ ლარამდე გაიზარდა. პირველი ემისიები საქართველოში 7-დან 91 დღემდე ხანგრძლივობის იყო. 2002 წელს კი მოხდა პირველი 6 თვიანი სახაზინო ობლიგაციის გამოცემა.

საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაში, რამაც განაპირობა ხშირი და გაზრდილი მოცულობის ემისიები.

არსებობს საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც გვეუბნება, რომ ქვეყნის ეკონომიკის ზომა მნიშვნელოვანი პირობაა იმისათვის, რომ კაპიტალის ბაზარი განვითარდეს.

2018 წელს შემუშავდა ორი ახალი წესი, რომელიც არეგულირებს საბროკერო საქმიანობას, რაც მიზნად ისახავდა საშუამავლო მომსახურების სტანდარტების მნიშვნელოვნად ამაღლებას.

[3] საქართველოს ეროვნული ბანკი

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, სწრაფი და ეფექტიანი ინფრასტრუქტურა. საქართველოში არსებობს GPSS სისტემა, რომელიც ახდენს ვაჭრობის ავტომატიზაციას და ინტეგრირებულია საფონდო ბირჟასა და Bloomberg-ის სისტემებთან.

ეკონომიკის ზრდასთან ერთად, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ეროვნულია ბანკისა და მთავრობის როლი. რაც გამოიხატება იმაში რომ შეიქმნას ხელშემწყობი გარემო. თავის მხრივ ასეთი გარემო გულისხმობს, სტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოს, გამართულ საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელიც დაიცავს ინვესტორების უფლებებს, ასევე აუცილებელია მასტიმულირებელი პოლიტიკის არსებობაც, ფინანსური განათლების ამაღლება და ასე შემდეგ.

თავი მეორე - საქართველოს საფინანსო და საკრედიტო პოლიტიკა

საგადასახადო სისტემა წარმოადგენს სახელმწიფოსთვის თავისი ფუნქციების რეალიზაციის წყაროს. ეს არის საგადასახადო პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტი. გონივრულ საგადასახადო სისტემაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მათ შორის ეკონომიკის გამართული ფუნქციონირება.

სწორი იქნება თუ გადასახადებს განვიხილავთ, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს, მის გარეშე წარმოუდგენელია სახელმწიფოს არსებობა. სწორედ სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული საგადასახადო სისტემის წარმოშობა და მისი ფორმირება. საგადასახადო სისტემა პირდაპირ კავშირშია ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო სისტემასთან.

საქართველოში გადასახადი ატარებს სავალდებულო ხასიათს. გადასახადებს არ ახასიათებთ დაბრუნებადობის პრინციპი. გადახდილი გადასახადი უკან ფულადი ფორმით არ ბრუნდება.

საგადასახადო სისტემა არის გადასახადების, მოსაკრებლების, ბაჟის, გადასახდელების ერთობლიობა.

საგადასახადო სისტემა შედგება შემდეგი ელემენტებისაგან:

გადასახადის გადამხდელი - ანუ დაბეგვრის სუბიექტი;

მოგება, შემოსავალი, ბრუნვა ან ქონება - დაბეგვრის ობიექტი;

ერთეულზე გადასახადის სიდიდე - განაკვეთი;

გადასახადისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლებ - საგადასახადო შეღავათი.

საგდასახადო სისტემა შესაძლოა დავახასიათოთ სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური ასპექტების საფუძველზე.

ეკონომიკურ ფაქტორებში შესაძლოა მოვიაზროთ, დაბეგვრის მთლიანი განაკვეთი, საგადასახადო შემოსავლების ჯამის თანაფარდობა დამატებულ ღირებულებასთან.

სახელმწიფოს ბიუჯეტს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია, მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისით. მასში შესაძლოა ჩანდეს მთავრობის პრიორიტეტები და პოლიტიკური ხედვები.

საქართველოში სახელმწიფო ფინანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი არის სახელმწიფო ხაზინა. სწორედ მისი მეშვეობით ხორციელდება ბიუჯეტის ყველა შემოსავალი და გადასახდელი. საქართველოში პარლამენტი და მთავრობა განსაზღვრავს იმ შემოსავლებს, ამ შემოსავლის წყაროებს და გასაწევს ხარჯებს, რომელიც გაწეულ იქნება მომავალში. ხარჯები განაწილებულია სხვადასხვა პროგრამების მიხედვით, ეს შეიძლება იყოს განათლების, სოციალური ან სხვა პროგრამა.

ბიუჯეტს გააჩნია სხვადასხვა ფუნქციები. ბიუჯეტი ეს არის ერთგვარი გეგმა, თუ როგორ უნდა დაიფაროს ყველა აღებული ვალდებულება, სახელმწიფოს მიერ. ასევე ბიუჯეტი განსაზღვრავს ასაღები ვალებისა და სესხების ლიმიტებს. გარდა იმისა რომ ბიუჯეტი არის სახელმწიფოს სტრატეგიული დოკუმენტი, ის ასევე მოიცავს იმგვარ ინფორმაციას, რაც ამარტივებს შემდეგში პროგნოზირებას.

სახელმწიფო ბიუჯეტი არის ფინანსური და პოლიტიკური დოკუმენტი, მას ამტკიცებს პარლამენტი, კანონის სახით. ბიუჯეტი შეიძლება იყოს სხვადასხვა დონის და შექმნას საბიუჯეტო სისტემა. საქართველოში საბიუჯეტო სისტემა მოიცავს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური ერთეულების ბიუჯეტებს, სახელმწიფო ბიუჯეტს, ადგილობრივ ბიუჯეტებს. ჩამოთვლილი ბიუჯეტების გაერთიანებით, ვიღებთ „ნაერთ ბიუჯეტს“.

2. 1 – საბიუჯეტო შემოსულობები

[4]„ბიუჯეტის შემოსულობები შედგება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობისგან. შემოსულობები შედგება: შემოსავლებისგან, არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული ფინანსური სახსრებისგან, ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრების და ვალდებულებების აღების შედეგად მიღებულ სახსრებისგან.“

[5]სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა 2019 წლის ბიუჯეტის მოხსენება, სადაც ვკითხულობთ, რომ ეკონომიკური ზრდა 2019 წელს გაუტოლდა 5.1%-ს. პროგნოზირებული მაჩვენებელი კი იყო 4.5 %. ამის მიზეზად დასახელდა 2019 წლის მესამე კვარტალში გაზრდილი ეკონომიკური აქტივობა.

ამავე მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ 2019 წელს საშუალო წლიური ინფლაცია იყო 4.9 %.

2019 წელს ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობამ გადააჭარბა, საბოლოო კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელს 295 მლნ ლარით, პროცენტებში კი ეს თანხა ასე გამოიყურება 2.3 %. სულ ბიუჯეტის შემოსულობამ, 2019 წელს შეადგინა 13,252 მლრდ ლარი. დოკუმენტის მიხედვით გადაჭარბებით შესრულდა გადასახადების ნაწილიც. ის გაუტოლდა 13,470 მლრდ ლარს, გადაჭარბება მოხდა 157 მლნ ლარით რაც პროცენტულად უდრის 1.2 %-ს.

2019 წელს პირველი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით შემოსულობები განისაზღვრა 12,864 მლრდ ლარით, რაც შეეხება გადასახდელებს ის განსაზღვრული იყო 13,090 მლრდ ლარით. ოქტომბერში განხორციელდა ცვლილება კანონში, რომლის მიხედვითაც გაიზარდა შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მოცულობა. შემოსულობების მოცულობა გაიზარდა 0.7%-ით, ხოლო გადასახადების 1.7 %-ით.

[4] http://www.parliament.ge
[5] https://sao.ge

[6] 2019 წლის პირველ კვარტალში შემოსულობები 3%-ით გადაჭარბებით შესრულდა, ხოლო გადასახადები 4%-ით ჩამორჩა გეგმას. ხოლო რაც შეეხება სხვაობას, მან ამ პერიოდისათვის შეადგინა 28.5 მლნ ლარი.

2019 წლის განმავლობაში ხდებოდა არსებული ნაშთი აქტიურად გამოყენება, რადგან გადასახდელების მაჩვენებელი აღემატებოდა, შემოსულობების შესრულების მაჩვენებელს. რეზერვების გამოყენებამ კი გამოიწვია შემდეგი რამ, კერძოდ, კომერციულ ბანკებში შემცირდა იმ ფულადი სახსრების მოცულობა, რომლებიც დეპოზიტებზე ბიუჯეტის ნაშთიდან იყო განთავსებული.

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი თავდაპირველად დაგეგმილი იყო რომ გაუტოლდებოდა 2,152 -ს. ბიუჯეტის კანონის ცვლილების შედეგად ეს მაჩვენებელი გაუტოლდა 2,138 -ს. საბოლოოდ კი ფაქტობრივი მაჩვენებელი იყო 2,256.

რაც შეეხება ფინანსური აქტივების ზრდას, მაჩვენებელი თავდაპირველად იყო 363, ცვლილების შემდეგ 209, ხოლო საბოლოო შედეგი იყო 279.

ვალდებულებების კლების მაჩვენებელი თავდაპირველად დაგეგმილი იყო 934, ცვლილების შემდეგ 967, საბოლოო შედეგი კი გაუტოლდა 959-ს.

[7]ახლა კი განვიხილოთ 2020 წელი. „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მიხედვით დაგეგმილი იყო მშპ-ს მაჩვენებლის ზრდა 5%-ით.

ამავე კანონპროექტით 2019 წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით, იზრდება, როგორც შემოსულობების, აგრეთვე გადასახდელების მაჩვენებლები.

შემოსულობების მაჩვენებელი დაგეგმილი იყო რომ გაუტოლდებობდა 14 მლრდ ლარს. ზრდა წინა წელთან შედარებით 9 %.

[6] https://sao.ge
[7] https://budgetmonitor.ge/components/files/daskvna-2020-clis-sax-biujetis-kanonis-proeqtis-shesaxeb.pdf

გადასახდელების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 8.6 %-ით გაიზრდებოდა, კანონის მიხედვით.

ვალდებულებების ზრდა დაგეგმილია 569მლნ ლარით და გაუტოლდება 2.8 მლრდ ლარს, ვალდებულებების კლება გაიზრდება 64 მლნ ლარით. არაფინანსური აქტივების მაჩვენებელი, კანონის მიხედვით გაიზრდება 49 მლნ ლარით და გაუტოლდება 2.2 მლრდ ლარს. ფინანსური აქტივები კი 20 მლნ ლარით გაიზრდება, როგორც კანონში ვკითხულობთ და შეადგენს 342 მლნ ლარს.

[8]თუმცა 2020 წელს COVID-19-ის პანდემიის გამო შეიქმნა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და 2020 წლის 9 ივნისს პარლამენტში მთავრობამ წარადგინა „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის ცვლილების პროექტი. ბიუჯეტის ნაწილი ხდება, ის თანხა, რომელიც მობილიზდა „STOPCOV“ ფონდში და შეადგენს 133.5 მლნ ლარს. ცალკე აღებული საგადასახადო შემოსავლები მცირდება 1.5 მლრდ ლარით. რაც განაპირობა იმან, რომ შემცირდა ეკონომიკა და დაწესდა საგადასახადო შეღავათები.

ამავე კანონის იზრდება გადასახადები 1.5 მლრდ ლარით და 15. 9 მლრდ ლარს გაუტოლდება.

2020 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები გაუტოლდება 18.4 მლრდ ლარს, ეს ციფრი კი მიმდინარე ბიუჯეტის შემოსულობებზე 3.9 მლრდ ლარით მეტია, 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობებზე კი 5.2 მლრდ ლარით მეტი. საგდასახადო შემოსავლების გარდა ბიუჯეტისთვის შემოსულობების დიდი წყარო სახელმწიფო ვალის აღება იქნება. ჯამში წლის მანძილზე მთავრობა 8 მლრდ ლარზე მეტ ვალს აიღებს. 2019 წელს კი 3 მლრდ ვალი აიღო.

[888] http://gov.ge/files/288_76410_248804_Budget2020.pdf

[9]

2.2- პირდაპირი გადასახადები

[10]პირდაპირი გადასახადებს დაბეგვრის პირდაპირ ფორმასაც უწოდებენ, ის წესდება უშუალოდ ქონებაზე და შემოსავალზე.

პირდაპირი რეალური გადასახადებით დაბეგვრისას გაითვალისწინება გადამხდელის მოსალოდნელი შემოსავალი და არა მისი გადახდისუნარიანობა.

ხოლო რაც შეეხება პირდაპირ პირად გადასახადებს - ამ შემთხვევაში, იბეგრება ნამდვილად მიღებული შემოსავალი და ხდება გადახდისუნარიანობის გათვალისწინება.

[9] ფინანსთა სამინისტრო
[10] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პირდაპირი გადასახადებია: ქონების, მოგების, საშემოსავლო, სოციალური და სათამაშო ბიზნესის გადასახადი.

2015 წელს დაანონსდა ცვლილება საგადასახადო კოდექსში, რომელიც ეხებოდა მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შემოღებას. კოდექსში ცვლილება შევიდა 2016 წელს და 2017 წლის იანვრიდან, მოდელი შევიდა ძალაში. ამ სიახლის მიზანია ეკონომიკური ზრდის უფრო დაჩქარება და ბიზნესისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებში მოგების გადასახადს ეჭირა სტაბილური წილი და ეს იყო 11 %. რეფორმის მიღებას წინ უძღოდა გარკვეული ეკონომიკური კვლევები.

რეფორმის არსი არის ის რომ მეწარმე არ იხდის მოგების გადასახადს თუ მიღებულ შემოსავალს ისევ ბიზნესისაკენ მიმართავს, ანუ ინვესტირებას მოახდენს ისევ ბიზნესში. არ გაწევს ნორმაზე მეტ წარმომადგენლობით ხარჯს, არ შეიძენს უსაბუთოდ მომსახურებას ან საქონელს და სხვა.

ესტონური მოდელის მიხედვით ხარჯი, რომელიც დაუსაბუთებულია არ ამცირებს ერთობლივ შემოსავალს და შედის დასაბეგრ მოგებაში. ესტონური მოდელის მიხედვით დაუსაბუთებელი ხარჯი უნდა „აიგროსოს“ (გაყოდა 0,85-ზე) და დაიბეგროს. ესტონური მოდელით მოგების გადასახადით იბერგება: რეზიდენტი საწარმო; ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, არარეზიდენტი საწამოს მუდმივი დაწესებულება, ხოლო კომერციული ბანკები, სადაზღვეო კომპანიები, მიკროსაფინანსოები, ლომბარდები და საკრედიტო კავშირები დაიბეგრებიან 2023 წლის პირველი იანვრიდან.

მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ობიექტები: უსასყიდლო და არაეკონომიური ხარჯები, გაუნაწილებელი მოგება.

მოგების გადასახადის დეკლარაციის წარდგენა ხდება ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, ელექტრონულად, ხოლო განაკვეთი უდრის 15%-ს.

რეფორმამდელი მოგების გადასახადს ჰქონდა მარტივი სახე:

შემოსავალს - ხარჯი = დასაბეგრი მოგება

ხოლო დასაბეგრი მოგება გამრავლებული 15 %-ზე ტოლი იყო გადასახდელი მოგების გადასახადის.

ახალი მოდელის მიხედვით დასაბეგრია განაწილებული მოგება, რომელიც პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

განაწილებულ მოგებას აქვს შემდეგი სახეები:

განაწილებული მოგება;

ისეთი ხარჯი ან გადახდა, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;

უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება (მათ შორის დანაკლისი);

ზედმეტად გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

საგადასახადო კოდექსი გვეუბნება, რომ დაიბეგრება შემოსავლის 1%-ზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯი. ან ისეთი კომპანიებისთვის, რომელსაც აქვთ ზარალი, ხარჯების 1%-ზე მეტად გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

დაბეგვრა კი გამოიყურება შემდეგნაირად:

დაბეგვრის ობიექტი/0,85*15%

[11]2019 წლის ბიუჯეტში დაგეგმილი თავდაპირველი საშემოსავლო გადასახადი იყო - 3,166 მლნ ლარი, ცვლილების შემდეგ - 3,150 მლნ ლარი, ხოლო ფაქტობრივი შესრულება შეადგენდა 3,200, 255 მლნ ლარს.

მოგების გადასახადლი 2019 წლის ბიუჯეტში დაგეგმილი იყო რომ გაუტოლდებოდა 781 მლნ ლარს, ცვლილების შემდეგ გახდა 855 მლნ ლარი ხოლო ფაქტობრივი შედეგი გაუტოლდა 866,289 მლნ ლარს.

2019 წლის ფაქტობრივმა შედეგმა ორივე გადასახადის ჭრილში გადააჭარბა 2018 წლის ფაქტობრივ შედეგს. კერძოდ 2018 წლის საშემოსავლო

[11] https://sao.ge

გადასახადის ფაქტობრივი შედეგი იყო - 2,877,895 მლნ ლარი, ხოლო მოგების გადასახადის ფაქტობრივი შედეგი იყო - 736,624 მლნ ლარი.

2020 წელს პანდემიის გამო მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული შემოსავალი, თითქმის 425 მლნ ლარით, აქედან 230 მლნ ლარი გამოიწვია იმ საგადასახადო შეღავათებმა, რომელიც პანდემიის გამო დაწესდა. კერძოდ, სახელმწიფომ გაათავისუფლა კომპანიები იმ თანამშრომლების საშემოსავლო გადასახადისაგან, რომელთა ხელფასი არ აღემატება 1 500 ლარს.

	2019 წლის ბიუჯეტის კანონი (1)	2019 წლის 8 თვის ფაქტი (2)	შესრულება % (2)/(1)	2019 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილება (3)	2020 წლის გეგმა (4)	2019-2020 წწ. ზრდა (4)/(1)	2019-2020 წწ. ზრდა (4)/(3)[12]
საშემოსავლო გადასახადი	3,166,000	2,096,205	66.2%	3,150,000	3,395,000	7.2%	7.8%
მოგების გადასახადი	781,000	601,601	77.0%	855,000	950,000	21.6%	11.1%
დღგ	4,036,000	2,719,576	67.4%	4,071,000	4,333,500	7.4%	6.4%
აქციზი	1,462,000	859,615	58.8%	1,287,000	1,380,000	-5.6%	7.2%
იმპორტის გადასახადი	83,000	49,990	60.2%	75,000	80,000	-3.6%	6.7%
სხვა გადასახადები	117,000	-12,105	-10.3%	207,000	181,500	6.8%	-12.3%
საგადასახადო შემოსავლები	**9,645,000**	**6,314,887**	**65.5%**	**9,645,000**	**10,320,000**	**7.0%**	**7.0%**

2. 3- არაპირდაპირი გადასახადები

[12] https://budgetmonitor.ge/components/files/daskvna-2020-clis-sax-biujetis-kanonis-proeqtis-shesaxeb.pdf

არაპირდაპირი გადასახადებით იბეგრება საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა, სამუშაოს შესრულება და შეიტანება საქონლის ან მომსახურების სამუშაო ფასში.

არაპირდაპირ გადასახადებს წარმოადგენს: დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადები.

ინდივიდუალური არაპირდაპირი გადასახადით, როგორიცაა აქციზი, იბეგრება ზოგიერთი საქონელი.

უნივერსალური არაპირდაპირი გადასახადით იბეგრება თითქმის ყველა საქონელი ან მომსახურება, ასეთია დღგ.

საბაჟო გადასახადებით იბეგრება ექსპორტი და იმპორტი.

მონოპოლიური გადასახადებით იბეგრება იმ საქონლის და მომსახურების მიწოდება, რომელიც სახელმწიფოს მიერაა მონოპოლიზებული.

[13]დღგ - დამატებული ღირებულების გადასახადი, გადასახადებს შორის ყველაზე ახალგაზრდა გადასახადად მოიაზრება. საქართველოში იგი შემოიღეს 1992 წლის 15 მარტს. მისი განაკვეთი შეადგენს 18%-ს. არის არაპირდაპირი გადასახადი, ის წარმოადგენს საქონლის ან გაწეული მომსახურების ფასზე დანამატს ან იმპორტირებული საქონლის ფასზე დანამატს. თუ უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში, დღგ-თი დასაბეგრი ოპერაციების თანხა აღემატება 100 000 ლარს, პირი ვალდებულია დადგეს დღგ-ს გადამხდელად. დღგ-ს გადამხდელმა უნდა წარადგინოს დეკლარაცია, ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვამდე და გადაიხადოს დღგ. ბიუჯეტში შესატანი დღგს თანხა განისაზღვრება, სხვაობა დარიცხულ და ჩასათვლელ დღგ-ს თანხებს შორის.

[14] 2019 წელს დამატებული ღირებულების გადასახადი, თავდაპირველი კანონით განისაზღვრა 4,036 მლნ ლარით, კანონში შესული ცვლილების შედეგად 4,071 მლნ ლარამდე მოხდა მისი ზრდა. ფაქტობრივი შედეგის მიხედვით კი,

[13] https://www.rs.ge/4773
[14] https://sao.ge

მობილიზებული დღგ გაუტოლდა 4,244 მლნ ლარს. გამომდინარე აქედან მოხდა გადაჭარბება და პროცენტულ მაჩვენებელში გამოიხატა, როგორც 4.2 %. ხოლო თავდაპირველ გეგმას გადააჭარბა 5.1 %-ით. 2018 წლის ფაქტობრივი შესრულება იყო 4,426,910 მლნ ლარი. რაც აღემატება 2019 წლის ფაქტობრივ შედეგს.

აქციზის გადასახადის გადამხდელია, პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს, ახორციელებს იმპორტს, ან ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს. ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, პირი ვალდებულია წარადგინოს აქციზის დეკლარაცია, ელექტრონულად. ალკოჰოლიანი სასმელი და თამბაქოს ნაწარმი ექვემდებარება სავალდებულო მარკის ნიშანდებას. აქციზური საქონლის სახეებია: მსუბუქი ავტომობილი, მოტოციკლი, თამბაქოს ნაწარმი (ოღონდ არა ნედლეული), ალკოჰოლიანი სასმელი, საპოხი მასალები და საშუალებები, სითხეები ელექტრონული სიგარეტისთვის, ბიოდიზელი, გამხსნელი, ანტიდეტონატორი და სხვა.

აქციზით ძირითადად იბეგრება საქონელი, თუმცა არსებობს ისეთი შემთხვევა, როცა ხდება მომსახურების დაბეგვრა. აქციზი არის საქართველოში ერთადერთი გადასახადი, რომლის განაკვეთის ზრდა შეუძლია მთავრობას, რეფერენდუმის გარეშე. აქციზით იბეგრება ძირითადად ისეთი საქონელი, რომელსაც ადამიანის ჯანმრთელობისათვის მოაქვს ზიანი.

პირი, რომელიც ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს ან დასაბეგრ ოპერაციას, აქვს უფლება ჩაითვალოს მიწოდებული საქონლის ან ნედლეულის გადასახდელი ან გადახდილი თანხის ოდენობით.

[15]2019 წლის ბიუჯეტში აქციზის საპროგნოზო თანხა იყო 1,462 მლნ ლარი, ცვლილების შედეგად შემცირდა 175 მლნ ლარით, ამის განმაპირობებელი გარემოება იყო თუთუნის მოხმარების ზრდა, თუმცაღა საბოლოო, ფაქტობრივმა შედეგმა, გადააჭარბა ზემოთ აღნიშნულ ორივე მაჩვენებელს და შეადგინა 1,506,676 მლნ ლარი.

[15]საქართველოს აუდიტის სამსახური - მოხსენებები სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

2020 წლის ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადისაგან მიღებული შემოსავალი მცირდება 644 მილიონი ლარით. აქციზის, იმპორტის გადასახადებისაგან მიღებული შემოსავალი კი ჯამურად 285 მლნ ლარით მცირდება.

[16]პანდემიიდან გამომდინარე გაზრდილია ხარჯებიც ბიუჯეტში, 2020 წლის სახელმწიფო გადასახდელები 15.9 მლრდ ლარს შეადგენს და 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს აღემატება 2 მლრდ ლარით. ამასთან შემცირებულია მოქმედი ბიუჯეტის ხარჯები 547 მლნ ლარით და ბიუჯეტის დამატებითი ტვირთი 1.5 მლრდ ლარი გამოდის.

პანდემიის შემდეგი ხარჯები ასე გამოიყურება: 793 მლნ ლარით გაიზარდა სოციალური დაცვის ხარჯი, აქედან 525 მლნ ლარი გამოყოფილია უმუშევრად დარჩენილი ადამიანებისათვის, კომუნალური ხარჯების სუბსიდირებისათვის 170 მლნ ლარი გამოიყო, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის 61 მლნ ლარი, ხოლო შშმ პირთა დახმარება იზრდება 24 მლნ ლარით.

გაზრდილია ასევე ჯანმრთელობის დაცვის ხარჯი 393 მლნ ლარით. ვირუსის გავრცელებისა და პრევენციის ხარჯი გაზრდილია 285 მლნ ლარით. ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება კი 60 მლნ ლარით.

2019 წელს საყოველთაო ჯანდაცვის ხარჯმა შეადგინა 829 მლნ ლარი, 2020 წელს კი 802 მლნია გამოყოფილი თუმცა ექსპერტების აზრით, ეს თანხა საკმარისი არ იქნება, რადგან 10 ივნისის ჩათვლით დახარჯულია 460 მლნ ლარი.

2. 4 - საბიუჯეტო პროცესი და საბიუჯეტო პრინციპები

[16] http://gov.ge/files/288_76410_248804_Budget2020.pdf

ბიუჯეტის მონიტორინგში მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბიუჯეტის გამჭვირვალობა და იმ მოთხოვნილებებთან შესაბამისობა, რაც არსებობს საზოგადოებაში. საქართველო მსგავსი მონიტორინგის სისტემის შექმნის პროცესშია და ნელ-ნელა იქმნება მონიტორინგის გამოცდილება.

განვითარებად ქვეყნებში იმისათვის რომ, სრულყოფილ იქნას საბიუჯეტო პროცესი, სასურველია, ისეთი სახელმძღვანელოების გამოყენება, რომლებშიც მოყვანილია უკეთესი პრაქტიკის მაგალითები. ასეთ სახელმძღვანელოებში განხილულია, ის პროცედურები და საფეხურები, რომლებიც არის დაგეგმვის ეტაპზე. მსგავსი პრაქტიკის სახელმძღვანელოები ძირითადად ეკუთვნის: საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობას, მსოფლიო ბანკს, საერთაშორისო სავალუტო ფონდს. არსებობს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შექმნილი კოდექსი, „ფისკალური გამჭირვალობის უკეთესი პრაქტიკის კოდექსი“. კოდექსის მიხედვით ბიუჯეტირებისას უნდა იყოს გათვალისწინებული რამდენიმე საკითხი: რეალისტური ბიუჯეტი, ფისკალური მდგრადობის შეფასება, შემდგომი ორი წლისთვის სენსიტიურობის ანალიზი და პროგნოზები, მოწვეულ უნდა იყვნენ დამოუკიდებელი ექსპერტები.

საქართველოში საბიუჯეტო წელია, ისევე, როგორც მსოფლიოს ქვეყნებში, ერთი კალენდარული წელია. გამომდინარე აქედან,ყოველი მომავალი წლის ბიუჯეტის ფორმირება, მიმდინარე წლის დასაწყისში იწყება. ბიუჯეტის ფორმირების პროცესი შემდეგნაირია: პროექტის მომზადება, შესრულება და ანგარიშგება, რომლის პასუხისმგებლობაც აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებას, ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლება ახორციელებს კონტროლსა და დამტკიცებას. წარდგენისა და მომზადების პროცესი იმართება ფინანსთა სამინისტროს კოორდინირებით. საბიუჯეტო პროცესის ხანგრძლივობა ჯამურად 33 თვეა, 7 თვე აქედან არის დაგეგმვის პერიოდი, 3 თვე განხილვისა და დამტკიცებისათვის არის საჭირო, შესრულება 12 თვე ანუ ერთი კალენდარული წელი, დამტკიცებისა და ანგარიშის პერიოდი მოიცავს სულ 11 თვეს.

საბიუჯეტო პროცესის პირველი ეტაპია, პროექტის მომზადება და წარდგენა. პირველ მარტს იწყება შემდეგი წლის ბიუჯეტის მომზადება, ამ ეტაპზე იქმნება დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილია საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზი, ფისკალური პროგნოზი და საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებები.

მაკროეკონომიკური პროგნოზი მოიცავს ინფლაციას, ხელფასების ცვლილებას, მთლიან შიდა პროდუქტს, ვალუტის კურსს და სხვა მაჩვენებლებს. საშუალოვადიანი ფისკალური პროგნოზი დაფუძნებულია მაკროეკონომიკურ პროგნოზზე და ახდენს შემოსავლების, ხარჯებისა და დაფინანსების პროგნოზებს. საგადასახადო პოლიტიკა დაფუძნებულია მაკროეკონომიკურ პროგნოზს, ფისკალური მდგომარეობისა და სტრატეგიის ანგარიშსა და ასევე ფისკალურ პროგნოზს.

15 აპრილამდე ფინანსთა სამინისტრო წარუდგენს საქართველოს მთავრობას ძირითადი მიმართულებებისა და მონაცემების დოკუმენტს, ხოლო პირველ მაისამდე მთავრობა დოკუმენტს წარუდგენს პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტს, პრეზიდენტთან შეთანხმებით. პირველ ივნისამდე საბიუჯეტო კომიტეტი ამზადებს დასკვნას და უგზავნის მთავრობას. 15 ივნისამდე ხდება მთავრობის მიერ კადრებისა და ხარჯების ზღვრული მოცულობის დამტკიცება. შემდეგი 5 დღის ვადაში ფინანსთა სამინისტრო ძირითად მხარჯავებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადს, სადაც ხდება ხარჯების ზედა ზღვრის მითითება. 15 აგვისტომდე მხარჯავი ორგანიზაციები წარადგენენ ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო განაცხადებს. 30 აგვისტომდე ხდება განხილვა, ფინანსთა სამინისტროსა და მხარჯავ ორგანოს შორის. ფინანსთა სამინისტრო 15 სექტემბრამდე წარუდგენს მთავრობას ბიუჯეტს და პირველ ოქტომბრამდე ბიუჯეტის კანონ პროექტს, პრეზიდენტთან შეთანხმებით, მთავრობა წარუდგენს პარლამენტს.

შემდეგი ეტაპია ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება. პირველ რიგში კანონი განიხილება პარლამენტის კომიტეტში, შემდეგ კი პარლამენტი კანონს

განიხილავს პლენარულ სხდომაზე. პრემიერ-მინისტრი ან მთავრობის წევრი წარადგენს მოხსენებას.

სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება ხდება ერთი მოსმენით, ხმათა უმრავლესობით. იმ შემთხვევაში თუ საჭირო გახდა კანონში ცვლილების შეტანა, პარლამენტს წარუდგენს მთავრობა, პრეზიდენტთან შეთანხმებით.

მომდევნო ეტაპია ბიუჯეტის შესრულება. პრეზიდენტის ხელმოწერისთანავე, მხარჯავ დაწესებულებებს მიეწოდებათ ინფორმაცია ასიგნებების შესახებ. იწყება განწერის დოკუმენტის შედგენა. ეს არის დოკუმენტი, რომელშიც შემოსულობები და ხარჯები ჩაშლილია კვარტლების მიხედვით. განწერილი ხარჯები და შემოსავლები უნდა დაბალანსდეს. სახაზინო სამსახურს არ აქვს უფლება ისეთი თანხის გაცემის, რომელიც ვერ მოხვდა განწერში.

ბოლოს კი ხდება ბიუჯეტის ანგარიშგება და კონროლი. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. ხაზინის დახმარებით, ყოველი თვის 20 რიცხვამდე ხდება ანგარიშის მომზადება, შემოსულობების, დაფინანსების წყაროებისა და გადასახდელების შესახებ. ფინანსთა სამინისტრო კვარტლის დასრულებისას, პარლამენტს წარუდგენს ბიუჯეტის მიმოხილვას. პარლამენტს აქვს უფლება მიმართოს იმ შემთხვევაში პრეზიდენტს, როცა ხდება კანონდარღვევა და სთხოვოს ხარჯვის შეჩერება.

წლის დაწყებამდე იწყება მუშაობა მომავალი წლის ბიუჯეტზე, ეს იმისკენაა მიმართული, რომ მოხდეს მომავალი შემოსავლების პროგნოზირება. ამას აკეთებს არამხოლოდ სახელმწიფო, არამედ ორგანიზაციები და ოჯახებიც. შეიძლება სესხის აღების საკითხიც დაისვას, თუ მოსალოდნელ შემოსავლებს აჭარბებს ვალდებულებები. ამ ეტაპზე განისაზღვრება შემოსავლის წყარო, შემოსავლის რაოდენობა და ის თუ რაში უნდა დაიხარჯოს. სახელმწიფო ახდენს ფინანსური სახსრების მობილიზებას, სწორედ ეს ქმნის ბიუჯეტის შემოსულობებს.

შემოსულობები = ბიუჯეტის შემოსავლებს + გრანტები + დეფიციტის დაფინანსების წყაროები.

ბიუჯეტის შემოსავლებს თუ განვმარტავთ ეს არის ბიუჯეტის ანგარიშებზე, კანონმდებლობის თანახმად მისაღების ფულადი სახსრები, რომლებიც ანაზღაურებას ან დაბრუნებას აღარ ექვემდებარება. არ შეიძლება, რომ შემოსავლები მიებას კონკრეტულ ხარჯს, ან ის იყოს მიზნობრივი. შემოსავალი შესაძლოა იყოს კაპიტალური, არასაგადასახადო და საგდასახადო.

განვიხილოთ არასაგადასახადო შემოსავლები. ეს არის საბიუჯეტო შემოსავალი, რომელიც არის მიმდინარე დანიშნულების და არ არის კაპიტალური ან საგდასახადო შემოსავალი. იგი მოიცავს ათ ჯგუფს. ეს ჯგუფებია: მოსაკრებლები (სანებართვო, სალიცენზიო, საბაჟო და ა.შ), იჯარიდან მიღებული შემოსავლები (ეს არის შემოსავალი, რომელიც მიიღება იმ ქონების იჯარით ან გაქირავებით, რომელიც არის სახელმწიფო საკუთრებაში), მომსახურების გაწევის საფასური (მაგალითად: ბილეთების საფასური), ეროვნული ბანკის მოგებიდან და დივიდენდებიდან მიღებული შემოსავალი, როიალტი (სავაჭრო ნიშნის, ნოუ-ჰაუს, პატენტის, საავტორო უფლებებისთვის გადახდილი შემოსავლები), სხვადასხვა სანქციებითა და ჯარიმებით მიღებული შემოსავალი, ქვეყნის შიგნით ან ქვეყნის გარეთ გაცემული კრედიტების დაბრუნებით მიღებული შემოსავალი, პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, რომელშიც არ შევა ძირი თანხის დაბრუნება, ასევე არსებობს სხვა არასაგადასახადო შემოსავლები, რომლებიც არ შედიან ამ ჯგუფებში.

ახლა განვიხილოთ საგადასახადო შემოსავლები, ეს არის მთავარი წყარო, იმ ფინანსური რესურსების მობილიზებისთვის, რომლებიც სახელმწიფოსთვის საჭიროა. საგდასახადო შემოსავლებს ძალიან დიდი როლი უჭირავს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში.

გადასახადს აქვს ორი პრინციპი :

ეფექტიანობის პრინციპი - ეს არის თანაფარდობა, იმ დანაკარგების, რომლებიც გადასახადების დაწესებით მივიღეთ, იმ დადებით ეფექტზე, რომელიც ამის საფუძველზე მივიღეთ.

სამართლიანობის პრინციპი - სამართლიანობა, ამ შემთხვევაში, შესაძლოა იყოს ჰორიზონტალური ან ვერტიკალური, ჰორიზონტალური სამართლიანობის იდეას წარმოადგენს თანაბარზომიერი დაბეგვრა წარმოადგენს, ხოლო ვერტიკალური სამართლიანობის საფუძველია ის რომ განსხვავებულ პირობებში მყოფი გადამხდელების მათი პირობების შესაბამისი საგდასახადო ტვირთის დაწესება.

გადასახადს აქვს ორი ფუნქცია:

მარეგულირებელი - რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ხდება შემოსავლების გადანაწილება, იზრდება ან მცირდება მყიდველობითუნარიანობა, ხდება ეკონომიკური პროცესების შენელება ან სტიმულირება.

ფისკალური პოლიტიკის საშუალებით ხდება საჭირო ფულადი რესურსის მობილიზენა, სახელმწიფოს მიერ.

გადასახადები იყოფა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით:

პირდაპირი: ქონების, მოგების, საშემოსავლო, სოციალური და სათამაშო ბიზნესის გადასახადი.

არაპირდაპირი: დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადები.

არსებობს ადგილობრივი გადასახადები: ქონების გადასახადი და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები: აქციზის, იმპორტის, საშემოსავლო და მოგების.

ასევე განასხვავებენ ფიქსირებულ და ადვალურ გადასახადებს.

ადვალურია ესაა პროცენტულ მაჩვენებელში დაფიქსირებული გადასახადი, რომელიც შეიძლება იყოს ღირებულების ან შემოსავლის.

ფიქსირებულია - დაფიქსირებული თანხის გადახდის ვალდებულება.

თუ სახელმწიფო ყიდის მის საკუთრებაში არსებულ მატერიალურ ან არამატერიალურ საკუთრებას ვიღებთ კაპიტალურ შემოსავალს. კაპიტალური

შემოსავლები 2004 წლიდან გადავიდა შემოსავლებში, იქამდე კი იყო დეფიციტის დაფინანსების წყარო.

ნებისმიერი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გრანტების მიღება. მისი უპირატესობა კი ის არის რომ არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას. საქართველოს ბიუჯეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა გრანტები. გრანტები შეიძლება მიიღოს სახელმწიფომ სხვადასხვა წყაროსგან. ეს შეიძლება იყოს: სხვა საგარეო არასახელმწიფოებრივი, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული, ასევე სხვა გრანტები.

ბიუჯეტზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ შესაძლოა ბიუჯეტი იყოს, როგორც დეფიციტური, ასევე პროფიციტური. დეფიციტი ბიუჯეტში შესაძლოა გამოიწვიოს ომმა, სტიქიურმა უბედურებამ, ინვესტიციების გამოყოფამ ან სხვა ფაქტორმა. არსებობს ციკლური და სტრუქტურული დეფიციტი. დეფიციტის დაფინანსების წყაროს ძირითადად წარმოადგენს კრედიტები და სესხები.

იმ ფულადი სახსრების ერთობლიობას, რომელიც უნდა გავიდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ბიუჯეტის გადასახდელები ჰქვია. ის მოიცავს: ხარჯებს, სესხის ძირითადი ნაწილის დაფარვას, დაკრედიტებას.

გადასახადები= დაკრედიტებას + ვალის დაფარვა + ხარჯები

ბიუჯეტის ხარჯი შეიძლება იყოს ისეთი ფულადი სახსრები, რომლებიც ავტონომიური ხელისუფლების, ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ამოცანების განხორციელებას ემსახურება.

იმისათვის რომ მოხდეს გადასახადების ანალიზი და სწორად აღრიცხვა, არსებობს კლასიფიცირების სისტემა. საქართველოში არსებობს ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკატორი.

ეკონომიკური ჭრილში საბიუჯეტო კლასიფიკაცია არის კარგი საშუალება პარლამენტისა და აღმასრულებელი ორგანოსთვის, რომ შეაფასონ ხარჯების

გავლენა ეკონომიკაზე და ასევე, სისწორე და მიზნობრიობა იმ ხარჯების, რომლებიც დაიგეგმა.

როცა საუბარია ეკონომიკურ კლასიფიკაციაზეა, ამ შემთხვევაში ხდება ხარჯების დაყოფა ოთხ ჯგუფად:

მიმდინარე ხარჯები, რომელშიც შედის: პროცენტის დაფარვა, ხარჯები მომსახურებასა და საქონელზე, სუბვენციები, სუბსიდიები, მიმდინარე ტრანსფერები.

კაპიტალური ხარჯები ესაა: ძირითადი კაპიტალის შეძენის ხარჯი (მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებების, შენობა-ნაგებობის და სხვა საქონლის ხარჯი, რომლის ექსპლუატაციის ვადა მეტი ერთ წელზე, ხოლო ღირებულება აღემატება 150 ლარს, არამატერიალური აქტივების, მიწის შეძენის ხარჯი, ხიდების, გზების, სკოლების ან სხვა დაწესებულებების მშენებლობის ხარჯი.

ვალების დაფარვა: არსებობს სახელმწიფო ვალი, რომელიც წარმოიშობა, მაშინ, როცა ხელისუფლებას არ აქვს საკმარისი შემოსავლები და იძულებულია აიღოს სესხი.

დაკრედიტება: საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსების წყარო არის საბიუჯეტო კრედიტი. დაკრედიტება არის საგარეო ან საშინაო. დაკრედიტებისას სახსრები გადაეცემა ორგანიზაციებს, სხვა დონის ბიუჯეტებს სარგებლის უკან დაბრუნების მეთოდით ან უსასყიდლოდ.

საქართველოს პარლამენტმა საბიუჯეტო კოდექსი მიიღო 2009 წლის 18 დეკემბერს, გამოქვეყნებულია 2009 წლის 28 დეკემბერს. იგი შედგება 20 თავისა და 116 მუხლისგან.

კოდექსი[17] განსაზღვრავს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს და არეგულირებს ბიუჯეტის მომზადების, განხილვის, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს. კოდექსის გავრცელების სფეროს არ წარმოადგენს ეროვნული

[17] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1504810?publication=2

ბანკი, სამეწარმეო იურიდიულ პირებზე, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებზე, წევრობაზე დაფუძნებულ იურიდიულ პირებზე.

საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს საბიუჯეტო სისტემის ძირითად პრინციპებს, ასევე საბიუჯეტო პროცესს. საბიუჯეტო პროცესი არის მთლიანად სისტემის განუყოფელი ნაწილი.

საბიუჯეტო კოდექსის მეორე კარში განხილულია საბიუჯეტო პროცესის მონაწილეთა პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები. მეორე კარში საუბარია პროგრამულ ბიუჯეტზე. პროგრამული ბიუჯეტი მოიცავს ინფორმაციას ქვეპროგრამების შესახებ, ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ და ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგების შესახებ, ინფორმაციას.

საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს თუ რას უნდა მოიცავდეს ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში. ის ასევე მოიცავს დანართს, რომელშიც ასახულია შემოსულობების განაწილების პროცენტული მაჩვენებელი, სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკურ და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს შორის.

საბიუჯეტო პროცესის სწორად წარმართვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საბიუჯეტო კოდექსის არსებობა.

საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის თითოეულ ეტაპს. სწორედ კოდექსით არის განსაზღვრული კალენდარი და მთლიან პროცესში მონაწილე პირების პასუხისმგებლობებსა და უფლებამოსილებებს. სწორედ საბიუჯეტო კოდექსით განისაზღვრება საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპები. ის ასევე გასანზღვრავს ბიუჯეტის ფორმირების პრინციპებს.

ფისკალური პოლიტიკა არის მოკლევადიან ან გრძელვადიან პერიოდში, აგრეგატების მართვის პოლიტიკა, ეკონომიკური ზრდლის ხელშესაწყობად, სახელმწიფოს მიერ.

ჯანსაღი ეკონომიკური[18] ზრდის წინაპირობაა სტაბილური მაკროეკონომიკური პოლიტიკა. იმისათვის რომ ეკონომიკური მაჩვენებლები სტაბილურად გაიზარდოს და შემცირებულ იქნას ქვეყნის ფინანსური ვალდებულებები, დადგენილია მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრები:

სახელმწიფო ვალი: მისი შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.

ბალანსი: ნაერთი ბიუჯეტი ეფარდება მთლიან შიდა პროდუქტს, მაქსიმალური ნიშნული 3%.

გადასახდელები: ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის მოცულობა ეფარდება მშპს-ს - არა უმეტეს 30%.

შემოსავლების წესი: აქციზის გარდა, ორგანული კანონით აკრძალულია გადასახადების გაზრდა.

ფისკალურ პოლიტიკას აქვს სხვადასხვა ინსტრუმენტები:

რესურსები მობილიზება - მისი ძირითადი წყარო არის გადასახადები. როდესაც ხდება საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა: თანასწორობას, გამჭირვალობას, ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევას და სხვა.

ხარჯვითი პოლიტიკა - მისი ძირითადი პრინციპებია: სიღარიბის შემცირება, მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

ფისკალური პოლიტიკა შესაძლოა იყოს ექსპანსიური, ამ დროს ხდება წარმოების სტიმულირება, დამატებითი მოთხოვნის გაჩენის ხარჯზე, ან შეიძლება იყოს შემზღუდავი, წარმოების დონე მცირდება, მოთხოვნის შემცირების ხარჯზე.

ფიკალურ პოლიტიკას გააჩნია ორი მიმართულება: პრო-ციკლური და ანტი ციკლური. ანტი ციკლური პოლიტიკა ცდილობს შეამციროს ეკონომიკური ციკლის გავლენა ეკონომიკაზე.

[18] https://mof.ge/

ფისკალური პოლიტიკის გავლენა მოკლედვადინ პერიოდში ეკონომიკაზე, შესაძლოა იყოს საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ცვლილების მიზეზი, გრძელვადიან პერიოდში - მშპ დამოკიდებულია სამუშაო ძალის ოდენობასა და ხარისხზე.

ფისკალური პოლიტიკის მიმართულების განსაზღვრასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია თუ რომელ ინსტრუმენტზე, ხარჯებსა თუ გადასახდებზე, ან მათ ცალკეულ კომპონენტებზე, მოხდება მისი ფოკუსირება.

იმისათვის რომ ეკონომიკა განვითარდეს, საჭიროა ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც იქნება ადეკვატური. ეს გულისხმობს რაღაც გარკვეული ხარისხით ჩარევას საბაზრო ურთიერთობაში, ქაოტის თავიდან ასაცილებლად. პეგი და რიჩარდ მასგრეივებმა გამოყვეს რამდენიმე პუნქტი, საბიუჯეტო პოლიტიკისთვის:

შემოსავლების გადანაწილება, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და რესურსების განაწილება.

რესურსები განაწილებისას გულისხმობს ისეთ ჩარევას, რომლის მიზანია ზეგავლენის მოხდენა, წარმოებისთვის ხელმისაწვდომი ფაქტორების ხარისხსა და რეოდენობაზე.

შემოსავლების გადანაწილება ნიშნავს, ისეთ პოლიტიკურ კურსს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს, შემოსავლების პირდაპირი გადანაწილების კორექტირება. მთავარი ინსტრუმენტებია: პროგრესული დაბეგვრა და სოციალური ტრანსფერები.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია გულისხმობს იმ ეგზოგენურ შოკებს, რომლებიც იწვევენ ეკონომიკის გადახრას, სტაბილური ფასებისა და დასაქმების დონიდან. ეს კონკრეტული ფუნქცია მოიცავს ისეთ კურსს, რომელიც ემსახურება ეკონომიკის დაბალანსებას.

ეკონომისტები და ფილოსოფოსები საუკუნეების მანძილზე მსჯელობენ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის როგორი ფისკალური პოლიტიკა უნდა გატარდეს. ამ თემაზე საუბარი ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან იწყება.

დღეს მსოფლიოში ძალიან ბევრი გამოწვევაა, რომლებიც უკავშირდება სიღარიბეს, უმუშევრობას და სხვა პრობლემებს. ფისკალური პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ბიუჯეტის დეფიციტი.

თავი მესამე - სადაზღვეო კომპანიები, საპენსიო ფონდები, ჩატარებული კვლევის მასალების ანალიზი

3.1 - სადაზღვეო კომპანიები

დაზღვევა რისკის მართვის ერთ-ერთი საშუალებაა. ის საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ზარალი, რისკის დადგომისას.

დაზღვევის წარმოშობა უკავშირდება იმ ობიექტურ თუ სუბიექტურ გარემოებებს, რომლებიც უკავშირდებობდა სახიფათო მოვლენებსა და რისკებს და მათ ზიანი მოჰქონდათ ადამიანისათვის, ზიანი კი იყო ხშირად გამოუსწორებელი. ისტორიულად დაზღვევის წარმოშობა დაკავშირებულია საზოგადოების გაჩენასთან.

საქართველოში სადაზღვეო საქმიანობა 1916 წლიდან დაიწყო. ფონდი იქმნებოდა იმ შენატანებისაგან, რომელთაც ახორციელებდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, და ეს თანხები ხმარდებოდა, ძირითადად სტიქიური უბედურებებისა და უბედური შემთხვევების ზარალის ანაზღაურებას.

[19] მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ სადაზღვეო კომპანიები ახდენენ ფინანსური რესურსების მნიშვნელოვან აკუმულირებას. სადაზღვეო ინდუსტრია ერთ-ერთი წამყვანია ბევრი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში. სადაზღვეო კომპანია ახდენს ფინანსური რესურსის მოზიდვას და მას შემდეგ გარდაქმნის ინვესტიციად.

სადაზღვეო კომპანიები საინვესტიციოდ გამოიყენებენ ნასესხებ, საკუთარ, ან დროებით თავისუფალ ფულად სახსრებს. სადაზღვეო კომპანიებს აქვთ სხვადასხვა რეზერვები, მაგალითად სიცოცხლის დაზღვევის რეზერვი.

[19] სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

სადაზღვეო სექტორში ყველაზე დიდი პოტენციალი, ინვესტიციების კუთხით გააჩნია სიცოცხლის დაზღვევას, იგი უფრო გრძელვადიანია, ვიდრე სხვა ნებისმიერი დაზღვევა. თუმცა საქართველოში მის კარგად განვითარებას რამდენიმე ბარიერი უქმნის საფრთხეს.

პირველი ასეთი ბარიერი შესაძლოა იყოს „საზოგადოების მენტალიტეტი“ - ეს ნიშნავს იმას რომ ქართველი ხალხი ძალიან სკეპტიკურად უდგება დაზღვევის საკითხს. სიცოცხლის დაზღვევა გრძელდება 10-20 წელი, ცვალებადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ადამიანებისათვის ეს არ არის სასურველი.

ერთ-ერთ მიზეზად შესაძლოა განვიხილოთ ინფორმაციის ნაკლებობა. საზოგადოება კარგად არაა ინფორმირებული მოსალოდნელი სარგებლიანობის შესახებ.

ასევე ერთ-ერთი მძლავრი მიზეზი არის ეკონომიკური ფონი და მდგომარეობა საქართველოში. მაკროეკონომიკური ფონიდან გამომდინარე, საქართველოში ვერ ხდება სადაზღვეოების მხრიდან ფინანსური რისკის შეფასება.

[20]„სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“-ს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში 2019 წლის მონაცემებით, რეგისტრირებულია 17 სადაზღვეო კომპანია.

ესენია:

[21]„ალდაგი“ – 1990 წლიდან პირველი სადაზღვეო კომპანიაა, ის კორპორატიულ და საცალო მომხმარებელებს ქონების და სიცოცხლის დაზღვევას სთავაზობს.

„ალფა“ - დაარსდა 2009 წელს, დამფუძნებელია „ავერსი ფარმა“, საქმიანობას ახორციელებს სადაზღვეო პროდუქტების ყველა მიმართულებით.

[20] http://insurance.gov.ge/Statistics.aspx
[21] http://www.insurance.org.ge/index.php?a=main&pid=3&lang=geo

„არდი დაზღვევა“ – 2010 წელს დაარსდა, გამოირჩევა მრავალფეროვანი სადაზღვეო პორტფელით.

„ ქართუ დაზღვევა“ – 2001 წელს დაარსდა, ძირითადი დამფუნებელია სს „ბანკი ქართუ“. 2014 წლიდან აქტიურად გამოჩნდა ბაზარზე.

„ჯი პი აი ჰოლდინგი“ - დაარსდა 2001 წელს, როგორხ პირველი კერძო საპენსიო ფონდი ქვეყანაში, ის „ვენის სადაზღვეო ჯგუფი“-ს წევრია.

„ევროინს საქართველო“ - კომპანია დაფუძნებულია ბულგარეთში და ოპერირებს მსოფლიოს 8 ქვეყანაში.

საერთაშორისო კომპანია „ირაო“ – 2004 წელს დაარსდა, ეწევა დაზღვევისა და გადაზღვევის მომსახურებას.

„გრინ დაზღვევა საქართველო“ - მომხმარებელს სთავაზობს სიცოცლის დაზღვევის სრულ სპექტრს.

„პსპ დაზღვევა“ - მომხმარებელს ჯანმრთელობის, ავტო და სამოგზაურო დაზღვევას სთავაზობს.

„სადაზღვეო კომპანია პრაიმი“ - დაფუძნდა 2007 წელს, ლიდერია აზერბაიჯანის სადაზღვეო ბაზარზე.

„სადაზღვეო კომპანია ტაო“ - მისი სადაზღვეო პროდუქტებია: ქონების, ავტო, სამოგზაურო და ტვირთების დაზღვევა.

„სადაზღვეო კომპანია უნისონი“ - მძლავრი საერთაშორისო და ფინანსური ინსტიტუტებისა და გადამზღვეველების პარტნიორია.

„იმედი L” - საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანიაა.

„თიბისი დაზღვევა“ – 2016 წელს თიბისი ჯგუფმა სადაზღვეო კომპანია „კოპენბური“ შეიძინა და დღეს ის ბაზარზე „თიბისი დაზღვევ“-ის სახელით ოპერირებს.

„გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ - ის პირველი საერთაშორისო რისკების მართვის და სადაზღვეო კომპანიაა საქართველოში.

„საქართველოს სადაზღვეო ჯგუფი“ – 2017 წლიდან ოპერირებს ქართულ ბაზარზე.

„ჰუალინგ დაზღვევა“ - ის ბაზის ბანკის შვილობილი კომპანიაა და ქართულ ბაზარზე 2017 წლიდან გამოჩნდა.

ამავე სამსახურის ინფორმაციით 2019 წლის განმავლობაში, მოზიდულმა სადაზღვეო პრემიამ შეადგინა 625 მილიონი ლარი. სადაზღვეო მოგებამ კი შეადგინა 157 მლნ ლარი, წმინდა მოგება 25 მლნ ლარი. სადაზღვეო კომპანიების აქტივების შეადგენს ჯამურად 799 მილიონ ლარს. სადაზღვეო პრემიამ 2018 წელს შეადგინა 542,20 მლნ ლარი. დაზღვევის სახეობების კლასიფიკაციის მიხედვით, 2019 წელს ჭარბობს სამედიცინო დაზღვევის მონაცემი და უტოლდება 234,05 მლნ ლარს. ამავე სამსახური კვარტლურად აქვეყნებს ფინანსური მაჩვენებლებსაც, რომელიც გვეუბნება, რომ სადაზღვეო კომპანიების ვალდებულებები უდრის 564,179,512 მლნ ლარს, ხოლო კაპიტალი - 234,841,350 მლნ ლარს.

დღესდღეობით ძალიან აქტუალური ხდება და სწრაფად იკიდებს ფეხს ბიზნესის დაზღვევა. თავად ქონების ან საწარმოს დაზღვევა. თუმცა აღსანიშნავია, რომ სადაზღვეო კომპანიები უარს ამბობენ გაკოტრების რისკის დაზღვევაზე.

საქართველოში არსებობს „საქართველოს სადაზღვეო კომპანიათა ასოციაცია“, რომელიც 1996 წელს დაარსდა და აერთიანებს ამ ინდუსტრიაში მოღვაწე კომპანიებს. მისი მიზანია უფრო პოპულარული გახდეს საქართველოში დაზღვევა, ეთიკის ნორმების შემოღება და სადაზღვეო პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება.

დღეისათვის საქართველოს ბაზარზე არსებობს შემდეგი სადაზღვეო პროდუქტები:

სამედიცინო დაზღვევა;

ქონების დაზღვევა;

სიცოცხლის დაზღვევა;

სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა;

სამოგზაურო დაზღვევა;

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;

იურიდიული ხარჯები დაზღვევა;

დაზღვევა საფინანსო დანაკარგებისგან და სხვა.

სადაზღვეო კომპანიები საკუთარი პროდუქტების რეალიზაციისათვის იყენებენ დაზღვევის სხვადასხვა, მათთვის სასურველ მეთოდებს. ხელშეკრულების გაფორმება ხდება შუამავლების მეშვეობით. რაც არაპირდაპირი ხერხით გაყიდვას ნიშნავს. დაზღვევის მსურველს თავადაც შეუძლია დაუკავშირდეს სადაზღვეო კომპანიას, დადოს ხელშეკრულება, ასეთ ხერხს პირდაპირი ხერხი ქვია.

[22]ქართული სადაზღვეო კომპანიებიდან 2018-2019 წლებში ყველაზე მეტი პრემია „ჯიპიაი ჰოლდინგ“-მა მოიზიდა, 2018 წელს 105.95 მლნ ლარი, ხოლო 2019 წელს - 106.93 მლნ ლარი. მას მოყვებიან „ალდაგი“ და “იმედი L”.

2019 წელს ყველაზე მეტი სადაზღვეო ზარალი კომპანია „უნისონ“-მა აანაზღაურა - 201.09 მლნ ლარი.

22 http://insurance.gov.ge/getattachment/Statistics/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9D_%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%90_2019_IV.pdf.aspx

3.2 -საპენსიო ფონდები

არსებობენ ფონდები, რომლებიც პენსიაზე გასულ ადამიანებს უზრუნველყოფენ შემოსავლის დამატებითი წყაროთი. ეს პროგრამა ხშირად ფინანსდება, დაქირავებულის, დამსაქმებლის, პროფკავშირის ან სახელმწიფოს მიერ.

საპენსიო ფონდის დახმარებით, პენსიაში გასულ ადამიანს ექნება ღირსეული შემოსავალი და სახელმწიფო გათავისუფლდება ზედმეტი ხარჯებისაგან.

საპენსიო რეფორმის განხორციელება დაკავშირებულია ბევრ სირთულესთან, მათ შორის აღსანიშნავია ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები. ამ რეფორმის გატარება საჭიროა, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნებისათვის, რადგან მოხდეს ადეკვატური საპენსიო სისტემის დანერგვა, რომელიც ერთის მხრივ შეამცირებს წნეხს საჯარო ფინანსებზე და უზრუნველყოფს მოსახლეობის ღირსეულ სიბერეს. საპენსიო სისტემა ხასიათდება მაღალი ეკონომიკური და პოლიტიკური მგრძნობელობით.

არსებობს დაგროვებითი, წამახალისებელი საპენსიო პროგრამები. დაგროვებითი საპენსიო ფორმა მთლიანად ეყრდნობა შენატანებს. ასეთ დროს არსებობს კონკრეტული ანგარიში, რომელზეც დაქირავებულსა და დამქირავებელს შეაქვთ თანხები. ასევე არსებობს პროგრამა საპენსიო შეღავათების ბაზაზე, როცა პენსიონერი იღებს გარკვეულ საპენსიო შეღავათებს, ეს კი დამოკიდებულია სამუშაო სტაჟზე, ხელფასზე ან გამომუშავებაზე. ეს კი ანგარიშდება სპეციალური ფორმულით.

საპენსიო ფონდები დაცულნი უნდა იქნენ საინვესტიციო რისკებისგან. ეს რისკები კი უნდა აკონტროლოს იმ კომპანიამ, რომელიც რიცხავს თანხას. ზოგიერთ ქვეყანაში მსგავს პროცესს აკონტროლებს სახელმწიფო.

საქართველოში 2019 წლის 3 იანვარს ფუნქციონირება დაიწყო საპენსიო სააგენტომ. საპენსიო სააგენტოს აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა და ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. საპენსიო ფონდის თანხების ინვესტირდება კეთილსაიმედო ფინანსურ ინსტრუმენტებში. საპენსიო სქემის ამოქმედებიდან 5 წლის განმავლობაში თანხების ინვესტირება მოხდება დაბალრისკიან საინვესტიციო პორტფელში, 5 წლის შემდეგ კი პირი თავად გადაწყვეტ რომელ პორტფელში სურს ინვესტირება.

საპენსიო ფონდი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. საინვესტიციო სტრატეგიას განსაზღვრავს დირექტორთა საბჭო. აქტივების მართვა ტენდერის მეშვეობით გადაეცა ორ აქტივების მართვით დაკავებულ კომპანიას. ერთი იზრუნებს ქვეყნის გარეთ ინვესტირებაზე, ხოლო მეორე თანხების ქვეყანაშივე ჩაბრუნებაზე.

დაგროვებითი საპენსიო რეფორმა ბევრ ქვეყანაში გატარდა. თუმცა ყველგან ერთიდაიგივე წარმატება არ ჰქონია. მათგან გამორჩეულია პოლონეთი, სადაც აღნიშნული რეფორმა 1999 წელს გატარდა და უკვე 2002 წლისათვის ჩართული იყო დაახლოებით, 9.7 მილიონი ადამიანი. 2004 წლისთვის კი ქვეყანაში არსებობდა 16 საპენსიო ფონდი. ისინი განკარგავენ 45.44 მლრდ ზლოტის ღირებულების კაპიტალს. 2008-2009 წლების კრიზისის დროს, პოლონეთმა ფონდებში არსებული თანხა დეფიციტის დაფინანსების წყაროდ გამოიყენა.

[23]დამოუკიდებელმა აუდიტორულმა კომპანიამ, გამოაქვეყნა დასკვნა“ საპენსიო სააგენტო“-ს შესახებ, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფინანსური ანგარიშგება გამოქვეყნებულია თავად სააგენტოს ვებ-გვერდზე. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაუნაწილებელი თანხა არის 39,813 ლარი. ასეთი თანხა არ წარმოადგენს ფონდის ნაწილს. ამავე პერიოდის მონაცემებით 165

[23] https://www.pensions.ge/public-information/financial-information/audited-financial-statements/2019-IFRS

000 ადამიანმა დატოვა საპენსიო სქემა, ხოლო დაბრუნებული საპენსიო შენატანების ოდენობა გაუტოლდა 57,243 ათას ლარს. სააგენტომ 2019 წელს ბიუჯეტიდან მიიღო დაფინანსება 3,793 ლარის ოდენობით.

საპენსიო სააგენტო დგას რამდენიმე სახის რისკის წინაშე. ფინანსური ზარალის რისკი, როცა არ სრულდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ასეთ რისკს ეწოდება - საკრედიტო რისკი.

არსებობს ასევე ლიკვიდურობის რისკი, ეს არის სიტუაცია, როდესაც კომპანის უჭირს ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკის სამართავად საჭიროა გონივრული ფულადი სახსრების შენახვა. ასევე არსებობს საპროცენტო განაკვეთის რისკი, ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყეობდეს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. რაც შეეხება სავალუტო რისკს, თუმცა საპენსიო სქემა არ ექვემდებარება სავალუტო რისკს, რადგან ვალდებულებები არის ლარში, 2019 წლის მონაცემებით.

3.3- ჩატარებული კვლევის მასალების ანალიზი

გამომდინარე საზოგადოების ფართო ინტერესებიდან, ამ საკითხზე ჩავატარე კვლევა, რომლის მიზანიც იყო მოქალაქეების აზრის გაგება, რადგანაც თემა არის სპეციფიური, გამოვიკითხე მხოლოდ 100 ადამიანი, ავარჩიე შესაბამისი სეგემენტი, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ საფინანსო-საბიუჯეტო სეგემენტთან.

პირველი კითხვა: დაინტერესებული ხართ თუ არა მიმდინარე საბიუჯეტო პროცესებით. პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად: 82% დაინტერესებულია, დანარჩენი 18% კი არ ინტერესდება საბიუჯეტო პროცესებით.



რაც შეეხება ადამიანების აზრს კითხვაზე თუ რისგან შედგება ბიუჯეტი პასუხი შემდეგნაირია: 87% თვლის, რომ შედგება გადასახადებისგან, 8% სხვა შემოსავლებისგა, 3% გრანტებისგან, 2% კი წყაროს არ ასახელებს.



გამოკითხული ადამიანების 47 % თვლის, რომ პირველ რიგში სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს განათლების სისტემა, შემდეგია 40

პრცენტით ჯანდაცვა და 5% თვლის რომ უნდა დაფინანსდეს ინფრასტრუქტურული პროექტები, 8% კი სხვადასხვა სექტორებზე გადანაწილდა.



გამოკითხულთა 87% სარგებლობს საბანკო მომსახურებებით დანარჩენს კი ნაღდი ანგარიშსწორება აქვთ პრიორიტეტად, გამოკითხულთა 52 % სარგებლობს კერძო დაზღვევით, დანარჩენი კი არ ენდობა მათ. ხოლო გამოკითხულთა 72% თვლის, რომ საბიუჯეტო პროცესები არის გამჭირვალე და მათ აქვთ წვდომა ამ ინფორმაციაზე. გამოკითხულთა 45% დასაქმებულია ფინანსურ სფეროში.

კვლევის მიხედვით, ვასკვნით, რომ მოქალაქეები დაინტერესებული არიან საბიუჯეტო პროცესებით. ისინი იყენებენ საბანკო მომსახურებას, მაგრამ მათი დიდი ნაწილი არ სარგებლობს კერძო დაზღვევით, რაც გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორებით (ინფორმაციის ნაკლებობა, უნდობლობა და სხვა). მათი აზრით, მნიშვნელოვანია ჯანდაცვის დაფინანსება.

დასკვნა და რეკომენდაცია

ნაშრომის მიზანია, რომ საზოგადოებისთვის წარედგინა ისეთი ინფორმაცია, რომელიც უფრო ნათელს გახდიდა, როგორ მუშაობენ ფინანსური შუამავლები, რა მნიშვნელობა აქვთ მათ ფუნქციონირებას ეკონომიკისთვის, ვფიქრობ, ნაშრომი სწორედ ამ კითხვებს პასუხობს. ფინანსური ბაზრების ფუნქციონირება ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის.

ფინანსურ შუამავლებს განსაკუთრებული როლი აკისრიათ ფინანანსური ბაზრების ფუნქციონირებაში. სწორედ მათი პრეროგატივაა მცდარ არჩევანთან და არაკეთილსინდისიერ ქცევასთან ბრძოლა. ფინანსური შუამავლები კლიენტებს უზრუნველყოფენ ეფექტური პროდუქტების შეთავაზებით. საფინანსო შუამავლების ძირითადი წარმომადგენლები არიან: ბანკები, სადაზღვეო კომპანიები, საინვესტიციო კომპანიები და სხვა. მათი ფინანსური პროდუქტებია: კრედიტი, იპოთეკა, ფასიანი ქაღალდები, საჩეკო ანგარიშები და სხვა. ფინანსური შუამავლები ეხმარებიან ფინანსური სახსრების სწორად გადადინების პროცესს, მისგან ვისაც აქვს, იმისკენ ვისაც ის სჭირდება.

ნაშრომზე მუშაობისას წავაწყდით პრობლემას, ბიუჯეტთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება პანდემიას, რომელმაც სრულიად შეცვალა არსებული მოლოდინები და პროგნოზები და შექმნა ანტიკრიზისული ბიუჯეტის ფორმირების საჭიროება.

ბიუჯეტის ოპერატიული დაგეგმვა ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნისთვის. 2020 წლისთვის ვარაუდობდნენ, რომ იქნებოდა პოზიტიური ეკონომიკური ზრდა, თუმცა პანდემიის გამო ეს ასე არ მოხდა, აქედან გამომდინარე 2019 წელს თავდაპირველი ბიუჯეტის კანონით, გადასახდელები განისაზღვრა 13,090 მლრდ ლარით, ხოლო შემოსულობები 12,864 მლრდ ლარით. ასევე დაიგეგმა ნაშთის გამოყენებაც, რომელიც შეადგენდა,

პროგნოზით 226 მლნ ლარს. ფაქტობრივი მონაცემები კი შემდეგია, შემოსულობები - 13,252 მლრდ ლარი, ხოლო გადასახდელები 13,470 მლრდ ლარი. 2019 წლის ბოლოს გადასახდელების ათვისება მნიშვნელოვნად გაიზარდა, ფისკალური წლის ბოლოს, მკვეთრად გაიზარდა ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი. გადასახდელების ზრდა დაკავშირებულია პირველ და მესამე კვარტალში აუთვისებელი რესურსის აკუმულირებით, წლის ბოლოს.

2019 წლის პოზიტიური ტენდენციები გაგრძელდა 2020 წლის დასაწყისში, იანვარში ეკონომიკური ზრდის ნიშნული 5%-ს გადასცდა, მაგრამ პანდემიის გამო, სამწუხაროდ, მონაცემები საგრძნობლად შეიცვალა. ამის გამო აპრილში, ეკონომიკურმა ვარდნამ 16%-ს გადააჭარბა. პანდემიამ ძალიან ცუდი გავლენა მოახდინა ბევრ ფისკალურ პარამეტრზე, მათ შორის: ეკონომიკა შემცირდა 4%-ით, ექსპორტი 6%-ით, შემცირდა ფულადი გზავნილებისა და ტურისტების რაოდენობა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ბიუჯეტზე.

დასკვნა, რომ ეკონომიკის სწრაფად ზრდისა და განვითარებისათვის, აუცილებელია ეკონომიკურად გამართული ფინანსური ბაზრების, საპენსიო ფონდებისა და სადაზღვეო კომპანიების მუშაობა, რასაც ხელი უნდა შეუწყოს სწორმა სახელმწიფო საფინანსო, საბიუჯეტო, საგადასახადო პოლიტიკის გატარებამ.

ბიუჯეტზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, ის ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ფინანსური დოკუმენტია. ბიუჯეტის ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები უნდა იყოს დაბალანსებული და მიმართული სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდისკენ, მხარს უნდა უჭერდეს ეკონომიკის ზრდასა და ინფრასტრუქტურის განვითარებას ქვეყანაში.

ჩემი აზრით, საქართველოს ბიუჯეტი ძირითადში აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელიც ბიუჯეტის მიმართ არის წაყენებული. ითვალისწინებს, როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას, ინფრასტრუქტურას და სხვა მნიშვნელოვანი დარგების განვითარებასა და სრულყოფას.

რაც შეეხება რეკომენდაციას, მიმაჩნია, რომ მთავრობას უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, გათვლილი სცენარები, იმისათვის რომ მოუმზადებელი არ შეხვდეს გამოწვევებს.

მთავრობამ უნდა სცადოს დაზოგოს უფრო მეტი თანხები, შეამციროს სხვადასხვა ხარჯი, რადგან შექმნას რეზერვები და შემდგომ კრიზისს დახვდეს მეტად მომზადებული, რომ აღარ დადგეს ვალის აღების საჭიროება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ასლანიშვილი დ., „საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები“, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი 2015;
2. ბარათაშვილი ე., აბრალავა ა., ბახტაძე ლ., კაკულია რ., „გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა“ თბილისი 2015.
3. ბახტაძე ლ., „ფინანსური ბაზარი“ 2004 წ;
4. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., „საგადასახადო საქმე“, თბილისი 2007;
5. გაბელაია ა., ფინანსები. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი 2011;
6. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ხიდირბეგიშვილი ნ., _ „ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“ (სახელმძღვანელო). – თბილისი 2017;
7. საქართველოს აუდიტის სამსახური - მოხსენებები სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ;
8. საქართველოს ეროვნული ბანკი, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2;
9. საქართველოს ეროვნული ბანკი;
10. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.2&d=HASH69568d08acbab3317ac2cb.9.3&gt=1;
11. საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
12. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=30;
13. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქართველოს ეროვნული ანგარიშები.

14. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები;

15. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

16. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდი https://mof.ge/;

17. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებ-გვერდი www.sao.ge;

18. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური;

19. შემოსავლების სამსახური - გადასახადები www.rs.ge;

20. http://insurance.gov.ge/Statistics.aspx;

21. http://pbo.parliament.ge/ge/rs/rpapers/item/131-fiskaluri-aspeqtebi;

22. http://www.economists.ge;

23. https://www.pensions.ge/public-information/financial-information/audited-financial-statements/2019-IFRS;

24. https://www.transparency.ge;

25. www.parliament.ge.

სარჩევი

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია (ინგლისურ ენაზე)

შესავალი 5

თავი პირველი - ფინანსური შუამავლები, ბანკები, სხვადასხვა სადეპოზიტო-საშემნახველო დაწესებულებები, ფასიანი ქაღალდები 7

1.1 - ფინანსური შუამავლები 8

1.2 – სპეციალიზებული ფინანსური შუამავლები და მსოფლიო ორგანიზაციები ... 11

1.3 - ბანკები, საინვესტიციო ბანკები, ცენტრალური ბანკები 12

1.4 - ფასიანი ქაღალდები და საქართველოში, ფასიანი ქაღალდების ფუნქციონირება 18

თავი მეორე - საქართველოს საფინანსო და საკრედიტო პოლიტიკა 24

2. 1 – საბიუჯეტო შემოსულობები 25

2.2- პირდაპირი გადასახადები 29

2. 3- არაპირდაპირი გადასახადები 32

2. 4 - საბიუჯეტო პროცესი და საბიუჯეტო პრინციპები 35

თავი მესამე - სადაზღვეო კომპანიები, საპენსიო ფონდები, ჩატარებული კვლევის მასალების ანალიზი 47

3.1 - სადაზღვეო კომპანიები 47

3.2 -საპენსიო ფონდები 52

3.3- ჩატარებული კვლევის მასალების ანალიზი 54

დასკვნა და რეკომენდაცია 57

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები 60

დანართი 63

დანართი

კვლევა - მოქალაქეების დამოკიდებულება საბიუჯეტო პროცესებთან დაკავშირებით.

რამდენად ხართ დაინტერესებული ქვეყანაში მიმდინარე საბიუჯეტო პროცესებით?
დაინტერესებული ვარ
არ ვარ დაინტერესებული

როგორ ფიქრობთ, ძირითადად რისგან შედგება საბიუჯეტო შემოსავლები

გადასახადები
გრანტები
სესხები
სხვა შემოსავლები

როგორ ფიქრობთ, რომელია ის პრიორიტეტული ღონისძიება, რომელიც პირველ რიგში უნდა დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან?

განათლება
ჯანდაცვა
ინფრასტრუქტურა
სხვადასხვა სოციალური პროგრამები
სხვა

სარგებლობთ თუ არა საბანკო მომსახურებით?
კი
არა

სარგებლობთ თუ არა კერძო სადაზღვეო კომპანიების მომსახურებით?
კი
არა

თვლით, რომ ბანკებს, სადაზღვეო კომპანიებსა და სხვა ფინანსურ შუამავლებს აქვთ გარკვეული როლი საბიუჯეტო შემოსავლების სრულყოფაში
დიახ, აქვთ
არ აქვთ
აქვთ, მაგრამ უმნიშვნელო

თვლით, რომ საბიუჯეტო პროცესები არის გამჭირვალე და მარტივადაა შესაძლებელი ნებისმიერი ინფორმაციის მიღება?
დიახ
არა
თქვენი ასაკი
18-24
25-35
35-50
50+

თქვენი სქესი:
მდედრობითი
მამრობითი

საქმიანობის სფერო:
ფინანსები
გაყიდვები
ხელოვნება
განათლება

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Economics and Business

Business Administration
Finance and Banking

Nino Tsomaia

Role of financial intermediaries, banks, securities in enhancement of budget revenue

Thesis is performed to obtain the academic degree of Master of Business Administration

Supervisor: Associate Professor - M. Chikviladze

Tbilisi
2020